კვირა, 27 ივლისი 1924 წ. მეორე წელიწადი პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# სიმართლის ხმა

№ 36 ყოველ კვირეული ჟურნალი № 36

რედაქციის მისამართი: ტფილისი, პლეხანოვის პროს. სასტუმრო „ნ ო ე“ ოთახი № 102.

ფასი 5 კაპ.

რედაქცია ღიაა ყოველ დღე { დღის 2 ს. საღამოს 6 ს.

## გარდაცვალების ათი წლის თავზე

საერთაშორისო მენშევიზმმა თავის ზნეობრივ სიკვდილს სწორედ ათი წლის წინად მოაწერა ხელი. ამ მისთვის ისტორიულად საბედისწერო დღეთ ცნობილია 1914 წლის 4 აგვისტო. ამ დღეს მისცა ხმა გერმანიის სოც. დემოკრატიამ სამხედრო კრედიტებს და მით დასტური დაჰკრა ჯერ არნახულ საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტას. აი, როგორ ასაბუთებდა ეს პარტია მის ასეთ დაუშვებელ ბოროტებას თავის დეკლარაციაში:

„ჩვენ ეხლა არც ომის წინააღმდეგ და არც მის სასარგებლოდ უნდა მივცეთ ხმა, ჩვენ უნდა გადავჭრათ კითხვა სახელმწიფოსათვის საჭირო თანხის გადადების შესახებ“.

როგორი შეგნებული გულუბრყვილობაა! ომისათვის ხარჯების გადადება თურმე გერმანიის სოც.-დემოკრატიის აზრით ომის სასარგებლოდ ხმის მიცემა კი არა „სახელმწიფოსათვის საჭირო თანხის გადადება“ ყოფილა. ნუ თუ მას გულწრფელად სჯეროდა, რომ ეს თანხა „ღვთისმოყვარე“ ვილჰელმის მიერ საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობას მოხმარდებოდა. ნუ თუ სოც.-დემოკრატიამ არ იცოდა, რომ სამხედრო კრედიტებს იმპერიის მთავრობა ახალ თოფ-ზარბაზნის, ახალ ყუმბარების, ტყვია-წამალის დასამზადებლად და კაცობრიობის ცეცხლის ალში გადასაყრელად სთხოვდა რეიხსტაგს. მან თავი გულუბრყვილო, უვიც პოლიტიკოსად მოიკატუნა. მაგრამ თვით ეს უხეირო თვალთმაქცობა, თეთრი ძაფით ნაკერი პოლიტიკა მოწმობს, რამდენად უძლური, რამდენად უსუსური იყო ეს პარტია თავისი მოღალატური სიტიტვლე დაემალა საერთაშორისო პროლეტარიატის თვალში.

რიგიანი კაცი, როცა დანაშაულს ჩაიდენს, გაჩუმდება მაინც. გერმანულ სოც.-დემოკრატიამ არა თუ ჩაიდინა აშკარა ღალატი მუშათა კლასის მიმართ, მან ეს ღალატი კეთილ საქმედ მონათლა და შავის თეთრად გასაღება მიზნად დაისახა.

ის ამ „საგმირო“ საქმეში ობლად არ დარჩენილა. ავსტრიელ სოც.-დემოკრატების ორგანო „არბაიტერ ცაიტუნგი“ შემდეგს სწერდა ამ სამარცხვინო საქმის შესახებ:

„ამ დღეს, 4 აგვისტოს, ჩვენ არ დავივიწყებთ... მთელი ერის წარმომადგენელ გერმანიის რეიხსტაგში გადაშლილ სურათმა წაუშლელი კვალი დასტოვა გერმანელი ხალხის მეხსიერებაში და ისტორია მას განიხილავს, როგორც გერმანულ სულის მძლავრსა და ამაყ აღტინებას“.

ამაზე შორს უიხტიბრიბა აღარ წავა. სოც.-დემოკრატიული პარტია, რომელიც მოწოდებულია ხალხთა შორის სოლიდარობის და ომის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის, ჰხედავთ რას სჩადის საერთაშორისო კატასტროფის კრიტიკულ მომენტში?

ის „გერმანულ სულის“ სიმძლავრესა და სიამაყეს ასხამს ხოტბას. ის ბურჟუაზიასთან ერთად სცემს ბუკს და ნაღარას. ის ხალხს ბრძოლისაკენ მოუწოდებს. ნუთუ ამაზე შორს კიდევ წავა რევოლიუციის ღალატი, ნუ თუ კიდევ შესაძლებელია საკუთარი პრინციპების ამაზე უფრო შელანძლვა და ფეხ-ქვეშ გათელვა.

მაგრამ ეს განა მარტო გერმანულ სოც.-დემოკრატიის ხვედრიიყო? ეს სურათი მთელი თავისი საზიზღრობებით განმეორდა ევროპის სხვა სახელმწიფოებშიც.

ბელგიის მუშათა პარტიის გენერალური საბჭო აცხადებდა:

„ბოროტება უკვე მოხდა და ბედმა მხოლოდ ერთი აზრი გვარგუნა ჩვენ: მივიღოთ ყოველივე ღონისძიება მტრის ჩვენს ტერიტორიაზე შემოჭრის შეჩერებისათვის.“ ჩვენ ამას მით უფრო მეტი სიცხოველით ვიზამთ, რადგან გვწამს, რომ ჩვენი ქვეყნის ნეიტრალიტეტის და არსებობის შენარჩუნებისათვის ბარბაროს იმპერიალისტებთან ბრძოლით, ჩვენ ვემსახურებით დემოკრატიას და ევროპის პოლიტიკურ განთავისუფლებას“.

ასეთი იყო ბელგიელ მენშევიკების აზრი ომის დასაწყისში. მათ თავის წმინდა მოვალეობათ ჩათვალეს „ბარბაროს იმპერიალისტებთან“ ბრძოლა, როცა კარგად ჰხედავდენ, რომ ამ „ბარბაროს იმპერიალისტებს“ მხარში უდგა გერმანიის სოც.-დემოკრატია, როცა ის ხალხის ფულებს ხალხისვე გასაჟლეტავად ფლანგავდა.

და არა მხოლოდ ბელგიელ მენშევიკებმა იქონიეს იმდენი უტიფრობა, რომ თავიანთი მოღალატური საქმე დემოკრატიის წმინდა მანტიაში გაეხვიათ და ქვეყნისათვის თავი უცოდველ სოციალისტებად მოეჩვენებიათ.

თუ ისინი გერმანულ ბარბაროსობის საშიშროებაზე ლაპარაკობდენ, ნემეცურ სოციალ-დემოკრატიამ არა ნაკლები ბარბაროსი ნახა რუსეთის სახით. აი, რას სწერს ის თავის 4 აგვისტოს დეკლარაციაში რუსეთის საშიშროების შესახებ:

„საჭიროა თავიდან ავიცილოდ ეს საშიშროება, უზრუნველვჰყოთ კულტურა და ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა. მაშ მოვიქცეთ ისე, როგორც ყოველთვის გვითქვამს: განსაჭირის დღეს ჩვენ არ დავივიწყებთ სამშობლოს.“

ასე და ამნაირათ, თითქმის სიტყვა-სიტყვით განიმეორა ეს საფრანგეთის სოციალისტებმა გერმანელ „ტევტონების“ შესახებ. ასე მოიქცა ბრიტანეთის სოციალისტური პარტიაც, რომელიც უკანმოუხედავათ ფეხ და ფეხ გაჰყვა თავის ბურჟუაზიას. ვის, რომელ სამშობლოს იცავდენ ეს სოციალისტები. ვის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდენ საკუთარ ქვეყნის მშრომელ ხალხს. ნუ თუ ვილჰელმჰინდენბურგის, ჰუგო-სტინესის კლასისათვის ისეთივე სამშობლო იყო გერმანია, როგორც გერმანელ პროლეტარიატისათვის. როდის შემდეგ დაისახა მიზნად სოც.-დემოკ-

რატიამ ამ სამშობლოს თავგამოდებით დაცვა,

მაგრამ სად იყო ამ დროს მეორე ინტერნაციონალი, როცა მის მონასტერში ისეთი ორომტრიალი დაიწყო, რომ „ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა“· ნუ თუ მთელმა მისმა 25 წლის მოღვაწეობამ მხოლოდ ის ნაყოფი გამოიღო, რომ კრიტიკულ მომენტში ყველა მისი სექციები საკუთარ ქვეყნის ბურჟუაზიის ფეხის ხმას აჰყოლოდნენ.

იმპერიალისტურმა ომმა სასიკვდილო დანა ჩასცა მეორე ინტერნაციონალს, როგორც საერთაშორისო რევოლიუციურ ორგანიზაციას.

ამ მარცხის შემდეგ ალარაფრად მოსჩანს მის მოღალატურ შუბლზე ვერსალის „ზავი“, რურის ოკუპაცია, რუსეთის და ევროპის ცენტრალურ სახელმწიფოების რევოლიუციის ღალატი.

ათი წელი სრულდება საერთაშორისო მენშევიზმის გარდაცვალების შემდეგ· ათი წელია, რაც ის ცივ სამარეში განისვენებს.

— საუკუნო იყოს ხსენება მისი:

— მკითხველო, შენდობა შეუთვალოთ მას!

# წყეული დღე

27 ივლისს სრულდება ათი წელიწადი მას შემდეგ, რაც გავარდა იმპერიალისტური ომის პირველი ყუმბარა...

წყეული, დაწყევლილი დღე—აი ის სახელი, რომელიც ამ დღეს უწოდა მშრომელმა კლასმა.

ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კაცობრიობას მოევლინა ეს საშინელი დღე.

მაგრამ მწარე ჭრილობები, რომელიც ამ დღემ მიაყენა მსოფლიოს, ჯერაც არ მოშუშებულა.

—საშინელი, შემაძრწუნებელი ამბავი მოგვიტანა ტელეგრაფმა,—ვწერდი ამ დღეს რუსეთის ერთ-ერთ პროვინციალურ გაზეთში.—კვლავ სისხლი, კვლავ ჟლეტა. ომის ღმერთი,—გაუმაძღარი, სისხლით შეღებილი,—კვლავ ეძიებს სისხლს...

მშრომელი ხალხის სისხლით ილებება არემარე... მაგრამ არ სძინავს ნემეზიდას. ის გადაუხდის სამაგიეროს ყველა მათ, ვინც ქვეყანას მოახვია ეს საშინელი დღეები... სისხლიანი იმპერიალიზმი მოიმკის სამაგიეროს.. ჩვენ ვდგევართ დიდი ისტორიულ ამბების წინაშე. ძნელია წარმოდგენა იმისი, თუ რითი დამთავრდება ეს სისხლის ღვრა, მაგრამ. ყოველ შემთხვევაში ბოლო იქნება საბედისწერო სისხლით შეღებილი იმპერიალიზმისთვის.

იმპერიალისტური ომი, რომელმაც ჭექა-ქუხილით გადაიარა მსოფლიოს თავზე, იყო უკანასკნელი აგონია, კაპიტალისტურ სამყაროს სასიკვდილო ზმორება და კრუნჩხვა.

ამ ომმა დაანახვა ყველას, რომ კაპიტალიზმის დღეები დათვლილია... სისხლით მორწყულ მინდვრებმა, მილიონობით დასახიჩრებულთა და დახოცილთა სახეებმა წარმოშვეს შურისძიება...

შედეგი ომის...

1915—1916 წლებში რუსეთის კაპიტალისტებმა ნახეს ამ ომში: რიაბუშინსკიმ 75 $_0/^0$ წმინდა მოგება, ტვერის მანუფაქტურამ-111 $^0/_0$, კოლჩუგანის სპილენძის ქარხანამ—12,2 მილიონი მანეთი 10 მილიონ ძირითად თანხაზე.

მაშინ, როცა კაპიტალისტები ითბობდენ ხელს ომის კოცონზე, მშრომელი კლასი იჟლიტებოდა სრულიად უმიზნოთ და სულს ლაფავდა მშიერ-მწყურვალი.

თოფის ქვეშ იდგა 12 $^0/_0$ მამაკაცის საერთო რაოდენობიდან. მარტო რუსეთში ბრძოლის ველზე დაეცა ნახევარზე მეტი მეომართა—3800 ათასი მეომარი, უმთავრესად მუშები, გლეხები.

ომის დროს რუსეთი ხარჯავდა:

1914 წ. მეორე ნახევარში 5 მილიარდ მან.
1915 . . . . . . . . 12 „
1916 . . . . . . . . . 18 „
1917 . . . . . . . . . 30 „

1914 წლის ომმა შეიტანა დიდი არევ-დარევა სოციალისტების ბანაკშიაც.

მეორე ინტერნაციონალი ფაქტიურად გაქრა იმ დღეს, როცა მან ვერ შესძლო ომის წინააღმდეგობა და მისი წევრები ხელს უწევდენ პარლამენტებში სამხედრო ბიუჯეტებს.

მაგრამ არ ამცდარა ისტორიულ გზიდან მუშათა კლასი...

მან და მისმა საუკეთესო წარმომადგენლებმა იმპერიალისტურ ომის ქუხილში განვლეს ციმერვალდი, კიენტალი, თებერვალი და ოქტომბერი.

უკანასკნელმა სასიკვდილო ისარი ჩაასო კაპიტალისტურ წესწყობილებას და მასთან ერთად ომსაც...

27 ივლისს სასიკვდილოთ დაჭრილი იმპერიალიზმი მოიგონებს თავის მიერ გასროლილ ყუმბარებს 10 წლის წინეთ.

ის კვლავ ემზადება სისხლის აბანოსთვის. მაგრამ ამ დღეს პროლეტარიატიც შეხვდება წყევა-კრულვით და მოაგონებს მსოფლიო იმპერიალიზმს მის უკანასკნელ წუთებს.

კომინტერნის მე—5 კონგრესსზე ამხ. ვარგამ მშვენივრათ, აუარებელი მასალებით ხელში დაასაბუთა კაპიტალიზმის მზის დაბნელების მოახლოვება, მაშინ როცა საბჭოთა სახელმწიფოები მტკიცე ნაბიჯით მიდიან აღორძინებისაკენ.

იმპერიალისტურმა ომმა საშინელი ქარტეხილივით გადაიარა მსოფლიოზე...

მისი სიმძიმე უმთავრესად დააწვა კისერზე მშრომელ კლასს, რომლის რიგებიდან გამოაკლდა მილიონობით ჯანსაღი ახალგაზრდა და რომლის რიგები სავსეა ასიათასობით დასახიჩრებულებით.

მაგრამ ამავე დროს ამ ომმა მოაახლოვა უკანასკნელი დღე ძირდამპალი კაპიტალიზმის.

ა. რუხაძე.

# მსოფლიო ომის ათი წლის თავზე

(1914 14 /VII 1924)

დღეს სრულდება ათი წელი მას შემდეგ, რაც მსოფლიო ხოცვა-ჟლეტა დაიწყო. 1914 წელს 14 ივლისს გავარდა პირველი თოფი; და უამრავ ადამიანთა სიცოცხლის შემუსვრა დაიწყო. ისტორიას არ ახსოვს ასეთი ომი. მთელი კაცობრიობა ჩათრეული აღმოჩნდა ხოცვა-ჟლეტაში, მთელი „კულტურული“ მსოფლიო გიჟური ფანატიზმით დაერია ერთიმეორეს და უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა გაიმართა.

20-ზე მეტი დიდი და პატარა სახელმწიფო იღებდა მონაწილეობას „სიკვდილის ჩონჩხთა დიდ ცეკვაში“.

მსოფლიო ეკონომიურ ინტერესები იმდენათ გადახლართული, იმდენათ დაკავშირებული აღმოჩნდა, რომ ორი სახელმწიფოს შეტაკებამ მთელი მსოფლიოს სამხედრო ბანაკათ გადაქცევა გამოიწვია.

რა თქმა უნდა, მოულოდნელი არ იყო ეს ომი.

ცხადი იყო, რომ იმპერიალისტები მთელი ქვეყნისა ბაზრების დაპყრობისათვის მოცილეობაში მსოფლიოს საშინელ ომის ქარცეცხლში გაჰხვევდენ.

მუშათა კლასმა ეს იცოდა ჯერ კიდევ რამოდენიმე წლის წინ.

სოციალისტური პრესა მთელ მსოფლიოში ხმამაღლა ლაპარაკობდა ამის შესახებ.

სოციალისტური კონგრესიც კი იქნა მოწვეული ომის საფრთხის თავიდან ასაცილებლათ.

შესანიშნავი კარგი დადგენილებაც იქნა გამოტანილი.

ის მოუწოდებდა მუშათა კლასს სიფხიზლისაკენ. სცდილობდა ჩაეგონებია მისთვის, რომ საშინელ ხოცვა-ჟლეტა, განმანადგურებელი ომი მხოლოდ მისი მკვდარი სიტყვით შეიძლებოდა თავიდან ყოფილიყო აცილებული.

მაგრამ საკმარისი იყო პირველი თოფის ხმა გაეგონათ, საკმარისი შეიქნა პირველი მსხვერპლის გაღება ბრძოლის ველზე, სანამ „სოციალისტებმა“ პირი იბრუნეს მუშათა კლასისაგან. მისი ინტერესების დაცვას თავი მიანებეს და თავთავის ქვეყნის ბურჟუაზიას ამოუდგენ გვერდში.

საშინელ ხოცვა-ჟლეტაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს და მუშათა კლასი მსოფლიო ავანტიურაში გადაისროლეს.

„პატივცემულ მუშათა“ კრებულმა, რომელსაც სახელათ მე-II ინტერნაციონალი ერქვა, უღალატა მუშათა კლასს. მისი ბელადები უკიდურეს ომის მოწინააღმდეგებიდან, გააფთრებული ომის, „ომი ბოლომდის“ მომხრენი გამოვიდენ.

ჩვენ არ შეუდგებით აქ ამ ისტორიის დეტალურათ მოგონებას. ამაზე საკმაოთ ბევრი თქმულა, კიდევ მეტი დაწერილა. მოვიგონებთ მხოლოდ იმას, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიაც ბალშევიკური ფრთის გამოკლებით, ომის მებაირახტრეთ გამოვიდა.

განსვენებული პლეხანოვი სიკვდილის უკანასკნელ წუთებამდის იცავდა თავის პოზიციას „ომი სამშობლოს თავდაცვისათვის“.

ზოგი ჭირიც მარგებელია. მსოფლიო მუშათა კლასმა დაინახა აშკარათ მტერი და მოყვარე, საშინელი ღალატის შემდეგ მისთვის აშკარა შეიქნა ვინ იყო მისი მტერი, ვინ მოკეთე.

მცირე-მცირე ჯგუფები, რომელიც ჩაისახა

ომის დასაწყისში სხვადასხვა ქვეყნებში, მუშათა საქმისათვის თავდადებულთა რაზმები, შეებრძოლენ ომს. შეებრძოლა კაპიტალისტურ წყობილებას მთლიანათ.

დღეს მსოფლიო ომის ათი წლის თავზე მთელი დედამიწის ზურგზე ჰქუხს კომინტერნის სახელი.

რევოლიუციის მებრძოლი შტაბი ჰკრებს ძალებს, „ყივის მისი ბუკი და ნაღარა“ და თავს უყრის მებრძოლთ თავის დროშის ქვეშ.

მსოფლიო ომის ათი წლის თავზე ჩვენ თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ:

აღარ არის შორს ის დრო, როდესაც მთელი ქვეყნის პროლეტარები მჭიდროთ შეკავშირდებიან კომუნისტურ დროშის გარშემო, იმ დროშის, რომელიც პირველათ აფრიალდა მსოფლიო ომის, მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, და შეერთებული ძალით ეს შეკავშირებული რაზმები გაანიავებენ თანამედროვე პოლიტიკურ და ეკონომიურ წყობილებას მთელს მსოფლიოში.

კლდე.

# შესაძლებელია?

ზღვის ქვიშნარით ავაშენებ კოშკს ზეცამდინ დიდს და მაღალს;
მიწის ბრუნვას შევაჩერებ, ღერძს გაუყრი რკინის ახალს;
დღითი მთვარეს და ღამით მზეს გავანათებ ცის სივრცეში;
კრეისერებს, დრენდნოუტებს გავაცურებ ჩიტის რძეში.
მარსს მიწასთან თოკით მოვსწევ, რათა იყოს ჩვენთან ახლოს,
ქვეყნად ძმობას დავამყარებ, მგელმა კბილი ცხვარს არ ახლოს.
არ ვენდობი სომეხს, თათარს; ავაჯანყებ დაღესტანსა;
სარდაფიდან გამოვიყვან ტარიელის ტყვე ნესტანსა.
პარიზიდან შორს თფილისში დავინახავ ნემსის წვერსა,
მოწოდების ერთი სიტყვით ავამხედრებ მშობელ ერსა,
კომუნისტებს გადავრეკავ, დავაყრუებ დარიალსა,
ყველა ქართველს თავის სახლში აუღერებ როიალსა.
მთელ ევროპას გადვიპირებ და შევუსევ მოსკოვს, რუსებს.
ლომ-გმირებად გადავაქცევ შემოდგომის უძლურ ბუზებს,
ფრთებს შევასხამ ჩემს ბენიას, მოიაროს საქართველო,
რომ გაიგოს სამშობლოში დღეს თუ ჰყვავის მწვანე მდელო.
კიდობანსა გავაცურებ, გავაჩერებ მთა-დავითზე,
ვინახულებ ფუნიკულერს და ჩამოვალ ვერის ხიდზე.
სასახლეზე მოვხსნი დროშას, დროშას წითლად მოელვარეს
და საბჭოებს გაუმართავ მე ბართლომეს ღამის ვარესს.

„კონწარი“.

# „უკანასკნელი ომი“

ვის არ ახსოვს იმპერიალისტური ომის პირველი თვეები, რამდენი ლამაზი და მომხიბლავი ლოზუნგები გადმოისროლა მაშინ სისხლში შელებილ ევროპის ბურჟუაზიამ მშრომელი მასის გასაბიაბრუებლად, რამდენი მელანი და ქაღალდი დაიხარჯა მუშათა კლასის სისხლის ტბაში ჩასათრევად.

თუ ინგლისი და მისი მოკავშირენი კაცობრიობის მაღალ იდეალების—მცირე ერთა და ევროპის პოლიტიკურ განთავისუფლებისათვის „ეცმებოდენ ჯვარს“, სამაგიეროდ მოწინააღმდეგე მხარე—გერმანიის მეთაურობით წამებულის გვირგვინს იდგამდა თავზე და თავის ქვეყნის მშრომელ ხალხს იარაღის ასასხმად მოუწოდებდა ველური მტრის ასალაგმავათ.

რამდენი უმანკო სისხლი დაიღვარა ამის შემდეგ მთელი ომის განმავლობაში, რამდენ მილიონ მშრომელმა მიუტანა მსხვერპლად თავის სიცოცხლე ომის ღმერთს. საბოლოოდ კი, ყველა ადრე ნათქვამის და დაწერილის ჩვეულებრივი თვალთმაქცობა ყველასთვის გამოაშკარავდა.

ბრესტ-ლიტოვსკის, ვერსალის და სევრის „ზავმა“, ყველაფერს ფარდა ახადა. ერთა თვითგამორკვევის ნაცვლად ეროვნებათა ხელახალი გადაყოფა მოხდა. იმპერიალიზმის უღელი მეტი სიმძიმით დააწვა კისერზე ახალშენების მშრომელთა მასებს.

რურის ოკუპაციამ, სილეზიის და მოსულის კითხვამ მზის სინათლეზე გამოიყვანა ტლუ პატრიოტიზმის საფარ ქვეშ მყოფი ომის ჭეშმარიტი მამოძრავებელი ძალა გაუმაძღარ ბურჟუაზიის სახით.

მთა-მრეწველობის კომიტეტი საფრანგეთში, რომელშიაც თავმოყრილია სახელმწიფოს მრეწველობის მთავარი დარგები, ჰუგო-სტინესი, კრუპი და ძმანი მათნი გერმანიაში, ბანკირთა ამხანაგობა ინგლისში, როკფელერ, სინკლერ, ფორდები ამერიკაში—აი, ომის ნამდვილი სულის ჩამდგმელები; აქ იწერებოდა ბრძოლის ბრძანებები, აქ ტრიალებდა დირიჟორის ჯოხი.

აწ ისტორიულ პირებად ქცეულ მთელ პოლიტიკოსთა წყება: ვილსონ, ლოიდ-ჯორჯ, პუანკარე, შტრეზემანის სახით, მხოლოდ დახელოვნებული ნოქრები იყვნენ და არიან თავიანთ ბურჟუაზიის, როგორც ფოში და ჰინდენბურგი ბრძოლის ველზე, ისე კერზონ, მილიერან, ბალდუინები საერთაშორისო პოლიტიკის ასპარეზზე მხოლოდ სხვისი, ფართე მასისთვის უჩინარ ძალის მონა-მორჩილნი იყვნენ.

მთელი ოთხი წლის განმავლობაში-კი ქვეყანას პატრიოტული ყიჟინა აქუხებდა. მშრომელ ხალხს ლამაზ სიტყვებით უხვევდენ თვალს.

უკანასკნელი ომი! ასეთი იყო ერთი ამ მომხიბლავ ლოზუნგთაგანი. იმ აუარება მსხვერპლის გასაღებად, რომელსაც მოითხოვდა იმპერიალისტური ომის წარმოება, საჭირო იყო ნამდვილ ზრახვების დიდი და მაღალ იდეებით მიჩქმალვა.

ბურჟუაზია შეჰპირდა კაცობრიობას ურცხვათ არა თუ თანამედროვე რაობის ხსნას, არამედ მომავალ თაობისაც და ომი, როგორც სოციალური უბედურება, მომავლისათვის შეუძლებლად გამოაცხადა.

მისი სიტყვით ეს იყო უკანასკნელი, კაცობრიობის განმანთავისუფლებელი ბრძოლა. მოკლეთ მან კაცობრიობის ყოველ ცოდვათა ხსნა ომის მაგიურ ძალას მიაწერა და დედა-მიწაზე სისხლის ნიაღვარი დააყენა.

სინამდვილემ აქაც წინააღმდეგი გვიჩვენა. საქმეთა დღევანდელი ვითარება ბურჟუაზიის ამ თვალთმაქცობასაც ხდის ფარდას. მთელი ევროპა და აზია, ამერიკის სახელმწიფოები დღეს იარაღში ზის. მეცნიერება ადამიანის გასანადგურებელ ახალ საშვალებათა ძებნაშია.

უკანასკნელ ომის ნაცვლად კაცობრიობას თავს დასტრიალებს ომის ახალი აჩრდილი—ბევრათ უფრო საბედისწერო და სახიფათო, ვიდრე დღემდი იყო.

მშრომელმა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ბურჟუაზიულ ურთიერთობის პირობებში ფუჭი ოცნებაა ომის შეუძლებლობაზე ლაპარაკი. ომი კერძო საკუთრებაზე აშენებული კაპიტალისტური საზოგადოების პირმშო შვილია. ის იმით ცოცხლობს, მას ამ საზოგადოებით უდგას სული.

მხოლოდ პროლეტარული რევოლიუცია, მხოლოდ მუშათა ბატონობა მთელ მსოფლიოში, მოუღებს ბოლოს ქვეყნიერებაზე ომს, ეკონომიურ ჩაგვრას და სხვა სოციალურ უბედურებათ.

მხოლოდ ევროპის მომავალი სამოქალაქო ომი იქნება—უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლა. მხოლოდ აქ არის კაცობრიობის ხსნა კაპიტალისტურ საზოგადოების ყოველგვარ სიდუხჭირიდან.

ეს ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ ჩვენ დღეს.

ძველთაგანი.

# საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი

ყველაზე უფრო შეურიგებელი მტერი საბჭოთა კავშირისა საფრანგეთი იყო.

არ დარჩენილა რაიმე საშუალება და ხერხი, რომლისთვისაც საფრანგეთს არ მიემართოს საბჭოთა კავშირის დასამხობად.

ყველა შავი გენერლები საფრანგეთის ფინანსიური და სამხედრო დახმარებით აწარმოებდენ ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ყველა ემიგრანტები და თეთრგვარდიელები საბჭოთა კავშირიდან პარიზში პოულობდენ თავშესაფარს და უზრუნველყოფას.

საბჭოთა კავშირთან ბრძოლის პროცესში საფრანგეთმა შექმნა მთელი რიგი ვასალურ პატარა სახელმწიფოებისა. ჯერ პოლონეთი გამოუშვა, შემდეგ ჩეხო-სლოვაკია, ბოლოს რუმინია და ასე დაუსრულებლივ.

მაგრამ უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა ეგრეთ წოდებული ნაციონალური ბლოკი და გაიმარჯვა მემარცხენეთა ბლოკმა.

დამარცხდა პუანკარე—ომი და საფრანგეთის პრემიერობა წილად ხვდა რადიკალ ერიოს.

კიდევ მანამ, სანამ პრემიერი გახდებოდა, ერიო აცხადებდა, რომ ის დაუყონებლივ იცნობს საბჭოთა კავშირს და მასთან ნორმალურ ურთიერთობას დაამყარებს.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ერიოს და საერთოდ მემარცხენე ბლოკის გამარჯვება არჩევნებში უმთავრესად იმიტომ მოხდა, რომ ისინი აყენებდენ საარჩევნო ლოზუნგად საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას. ეს კი ძალიან სწყურიათ საფრანგეთის საზოგადოებრივ ზოგიერთ წრეებს.

შეასრულა ერიომ დანაპირები?

მეორე თვეა, რაც ერიო პრემიერია და ამ ხნის განმავლობაში მას საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხში არაფერი გაუკეთებია.

შეიძლება მას ამ საკითხში გადაელობა ის საიდუმლო ხელშეკრულება, რომელიც პუანკარეს შეუკრავს ამერიკასთან—საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხში შეთანხმებულად მოქმედების შესახებ, და რომლის არსებობა ერიომ არ იცოდა, სანამ ის ჩაუდგებოდა მთავრობას სათავეში.

ჩვენ ვამბობთ, რომ ეს შესაძლებელია ასე იყოს.

მაგრამ მეორეს მხრივ ჩვენ ვხედავთ ერთ გარემოებას. ერიოს მთავრობას გერმანიის მიმართ უნდა ეწარმოებია ძველი, პუანკარეს პოლიტიკისაგან განსხვავებული პოლიტიკა და გერმანიის საფრანგეთის ახალი მთავრობისდროს უნდა ეგრძნო ერთნაირი შვება. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ერიო წარბშეუხრელად აცხადებს: მე პუანკარეს პოლიტიკას გავარძელებ გერმანიის მიმართ.

ეს გარემოება ჩვენ გვაფიქრებინებს, რომ ერიო საბჭოთა კავშირის მიმართაც აგრძელებს პუანკარეს პოლიტიკას.

უკანასკნელ ხანებში, როცა საბჭოთა მთავრობამ არ მისცა ნება საფრანგეთის მოქალაქეებს ნავთის მრეწველებს საბჭოთა კავშირში შემოსვლისა, ერიომ ჩიჩერინს დეპეშა გამოუგზავნა და შეატყობინა: მე ვაძლევ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს ნებართვას საფრანგეთში შესვლისა, ხოლო თქვენმა წარმომადგენლობამ ლონდონში ნავთის მრეწველებისათვის უკვე მიცემული ვიზები გააუქმაო, და უმატებს: „ვისურვებდი, რათა თქვენი მხრით ისეთივე ნაბიჯები იქნას გადადგმული, როგორც ჩემ მიერ; ეს გაადვილებდა იმ საკითხის გადაჭრას, რომელსაც მე შეუდგები ლონდონის კონფერენციის დასრულებისთანავე"-ო.

აქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ერიო საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დაწყებას აპირობს ლონდონის კონფერენციის დასრულების შემდეგ.

ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ერიო უმთავრესად უცდის არა მოკავშირეთა კონფერენციის დასრულებას, რომელიც ლონდონში სწარმოებს ამჟამად, არამედ ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენციის შედეგებს და ამას უცდის არა მარტო საფრანგეთი, არამედ სხვა სახელმწიფოებიც.

დეპეშებიდან ვტყობილობთ, რომ ლონდონში „სამოგზაუროდ" ჩასულ იუზს თათბირი ჰქონია მაკდონალდთან და ერიოსთან საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების შესახებაც.

აშკარაა, რომ ბურჟუაზიული ევროპის და ამერიკის წინაშე პირდაპირ სდგას საბჭოთა კავშირის პრობლემა და ის დაუყონებლივ გადაჭრას მოითხოვს.

ერიო გვპირდება, რომ ამ პრობლემის გადაჭრას ის შეუდგება ლონდონის კონფერენციის დასრულების შემდეგ. ვნახოთ.

**გარეში.**

# საზღვარგარეთის რაინდები

ქართველი მენშევიკები ჩვენი ქვეყნის შიგნივ წყლის მღვრევით არ კმაყოფილდებიან. მათი საქმე და სიტყვა საქართველოს ფარგლებს გარეთაც საბჭოთა კავშირის დამხობის, პროლეტარულ ხელისუფლების დაცემისკენაა მიმართული. ამ მხრივ, რასაკვირველია, განსაკუთრებული დამსახურება საზღვარ-გარეთ მობინადრე მენშევიზმის უჯარო გენერლებს მიუძღვის.

ყველგან, სადაც კი მათ ხმა მიუწვდებათ, ეს პატიოსანი გვამები საბჭოთა ხელისუფლების ჩაქოლვას ლამობენ. მართალია ეს ჩვენ სპილოსა და ფინიას არაკს გვაგონებს, მაგრამ ამ გარემოებას მაინც ვუსვამთ ხაზს მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ დაინახოს ჩვენმა მკითხველმა როგორ გადიჩეხა ქართული სოციალ-დემოკრატია კონტრ-რევოლიუციის უფსკრულში და საით არის მიმართული დღეს ამ პარტიის მთელი საქმიანობა.

ასე, მაგალითად, ყველამ იცის, რომ საბჭოთა ხელისუფლებას ქვეყნის მეურნეობის გასაფართოებლად და მრეწველობის მოსაწესრიგებლათ ესაჭიროება გარეშე სესხი. ამ მიზნით გაგზავნა მან დელეგაცია ლონდონში. ეს კითხვა დღეს მთელი სიმწვავით დგას როგორც საბჭოთა, აგრეთვე ევროპის ხელმძღვანელ წრეებს შორის. და აი, ჩვენი ნაცნობი საზღვარგარეთელი რაინდები შეიკაზმენ „თოფითა და ჯინჯილითა". არ მისცეთ მაგათ სესხი", „არ გაუშვათ, დაიჭირეთ ეგ ავაზაკები"—გაჰყვირიან ისინი დღეს ბრაზმორევით ევროპის ბურჟუაზიის კალთა მოფარებულნი.

და ამ საგმირო საქმეში, როგორ გგონიათ, პირველი ადგილი ვის უნდა ეჭიროს? რა თქმა უნდა ლენინგრადის მუშათა და გლეხთა საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს თებერვლის რევოლიუციის ერთ-ერთ ხელმძღვანელთაგანს. ამ ფირმის ქვეშ უფრო ადვილია რეაქციონურ აზრების გასაღება, ამ საფარ-ქვეშ უფრო მოსახერხებელია შავი ზრახვების მიფუჩეჩება.

აი რა სთქვა ამ „დამსახურებულმა რევოლიუციონერმა ჟენევის უნივერსიტეტში შემდგარ კრებაზე:

> არავინ არ ეძებს ომს, არავის არ სურს ის, გარდა თვით ბოლშევიკებისა. მეტად ყურადსაღებია რიკოვის მიერ ამას წინად გაკეთებული განცხადება, რომელმაც სთქვა, რომ ბოლშევიკები თანახმა არიან შეამცირონ ყველა ხარჯები, გარდა სამხედრო კომისარიატის ხარჯებისაო. დიახ, ბოლშევიკებს უნდათ ფულები. ისინი სთხოვენ ფულს ევროპის კაპიტალისტებს ბოლშევიკურ ჯარის გასაძლიერებლად".

მაშ აგრე, საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც მხოლოდ ომის თავიდან მოშორების შემდეგ მოითქვა სული და ფესვები გაიმაგრა ბოლშევიკური რუსეთი, რომელიც ომის ანტი, პოდათ იქცა მთელი ქვეყნის მშრომელ ხალხის თვალში, თურმე ეს ხელისუფლება ყოფილა ომის მოტრფიალე, თურმე ბოლშევიკურ ლაშქრის შიში აიძულებს მშვიდობიანობის მოყვარე კაპიტალისტურ ევროპას იყოლიოს შეიარაღებული ძალა, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ომის საშიშროება გაჰქრებოდა ამ ქვეყნად.

დღეს, როცა იმპერიალიზმი კბილებამდი იარაღში ზის, როცა ომის ღმერთი დაეპატრონა მეცნიერებას და ხელოვნებას, როცა მომავალი ომი კაცობრიობას ჯერ არნახულ საშინელებას უქადის, მუშათა და გლეხთა მთავრობა უნდა იჯდეს ხელ-ფეხ დაკრეფილი და ბედის შემყურე გახდეს?

მერე ამას რა მოყვება? „აჯანყება ამიერკავკასიის დაღესტანითურთ, სამხედრო ბაზის კავკასიის ქედზე გადატანა, ევროპის ჯარის მიშველება და საქართველოს „განთავისუფლება". ეს არის მენშევიკური რეჟიმის რესტავრაციის ერთი გზა, როგორც სწერდა ჟორდანია. თუ ასეთი შესაძლებლობა არ გამართლდა, ამავე ჟორდანიას სიტყვით დასაშვებია მეორე—საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის გართულება, ამაზე აღმოცენებული ომი მსოფლიოს ორ ბანაკს შორის და ბოლშევიზმის ბატონობის დამარცხება.

ხალხი, რომელიც ასეთ გეგმებს თხზავს და მისი იმედით ცხოვრობს, რასაკვირველია, გულგრილად ვერ შეხედავს საბჭოთა ხელისუფლების გუშაგის, წითელი ლაშქრის განვითარებას და მოლონიერებას, მათ გულზე ესობათ, იმასაც ვერ შერიგებიან, რომ საბჭოთა კავშირის ვეებერთელა ტერიტორიას, მხოლოდ 600.000 კაცამდე ჰყავს თოფს ქვეშ დაყენებული. ისინი მაინც ამ ჯარის საშიშროებაზე გაიძახიან, მათ წითელი აჩრდილის საშიშროება არც ევროპაში აძლევს მოსვენებას.

**სიმონა ზეინკლი.**

# ფაშიზმის კრიზისი

ფაშიზმი ეს უკიდურესი რეაქციონური და კონსერვატიული მოვლენაა ევროპის სინამდვილეში.

ბურჟუაზია ცდილობს ფაშიზმის საშვალებით „შეაკეთოს“ თავისი შერყეული მდგომარეობა და გაახანრგძლივოს თავისი ბატონობა.

ფაშიზმის სამშობლო იტალიაა. 1920 წ. 2 ნოემბრიდან მომდინარეობს ფაშისტური მოძრაობა. წარსულ წელს ფაშიზმი სწრაფად განვითარდა სხვა ქვეყნებშიაც, მაგ. გერმანიაში, ბოლგარიაში და სხვაგან. ევროპა დაადგა გარეაქციონერების და გამემარჯვენების გზას.

მაგრამ უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში და სხვა პატარა სახელმწიფოებში გაიმარჯვა მემარცხენე მიმდინარეობამ და ფაშიზმს კისერი მოტეხა. იტალიაში კი დღემდე მძინვარებს მშრომელი ხალხის ეს საშინელი სენი—ფაშიზმი.

მიუხედავად იმისა, რომ იტალიის ფაშიზმს დიდი ხანია, რაც წყალი შეუდგა და დაეკარგა გავლენა თვით ბურჟუაზიულ წრეებში, ის მაინც პარპაშობს.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ჟამად იტალიის ფაშიზმი დიდ კრიზისს განიცდის. ის ყრუ უკმაყოფილება, რომელიც არსებობდა საზოგადოების სხვა და სხვა ფენებში, უკვე საგრძნობი ხდება.

ოპოზიცია თვით ფაშიზმში თანდათან ვითარდება.

ფაშიზმი დაყოფილია რამდენიმე მიმდინარეობებათ. საკმარისია აქ დავასახელოთ ორი მთავარი მიმდინარეობა: ეგრედ წოდებული „კანონიერი“ ფაშისტები და მხეცი ფაშისტები, პირველნი ფიქრობენ ფაშისტურ კანონიერების ფარგლებში მოქმედებას, მეორენი კი უარყოფენ ყოველგვარ კანონს და მოქმედობენ ისე, როგორც მოესურვებათ. „კანონიერ“ ფაშისტების მეთაური არის როკა, რომელიც „მხეც“ ფაშისტებმა პარტიიდან გამორიცხეს. თვით მუსოლინს კი შუა ხაზი უჭირავს, მაგრამ, როცა ჯერი საქმეზე მიდგება, ის „მხეც“ (უმრავლესობაა) ფაშისტების მხარეზეა.

როკას პარტიიდან გამორიცხვით არ მოსპობილა ოპოზიცია შიგნით ფაშიზმში, პირიქით, ის გაძლიერდა.

გარდა ამისა იტალიაში არსებობს სტუდენტთა მძლავრი ანტიფაშისტური ორგანიზაცია.

უკანასკნელ ხანებში ყველაფერ ამას ზედ დაემატა სოციალისტ დეპუტატ მატეოტის ფაშისტების მიერ ვერაგულად მოკვლა.

რათ მოჰკლეს მატეოტი?

მატეოტიმ ფაშისტურ პარლამენტში სასტიკად ამხილა და გამოამჟღავნა ყველა ის სიყალბე დნ ხრიკები, რომელიც ფაშისტებმა ჩაიდინეს უკანასკნელი არჩევნების დროს. თავისი სიტყვა დაასურათა მამხილებელი საბუთებით. მატეოტი ემზადებოდა გამოსასვლელად აგრეთვე დროებითი ბიუჯეტის დამტკიცების დროს და ფიქრობდა ფაშისტების საშინაო და საგარეო პოლიტიკის კრიტიკის ქარ-ცეცხლში გატარებას. ეს იცოდენ ფაშისტებმა, ამისი საშინლად შეეშინდათ და ჩაიდინეს საზიზღრობა:

— მოჰკლეს მატეოტი.

მაგრამ ბნელეთის მოციქულებს მეტად ძვირად დაუჯდათ ეს მკვლელობა. მთელი ევროპის საზოგადოებრივი აზრი ამხედრდა ამ ამბავის გამო. თვით საფრანგეთის პარლამენტმა გამოიტანა პროტესტი მატეოტის მოკვლის გამო. ეს უბრალო ამბავი არაა. საფრანგეთის პარლამენტის მიერ უცხო სახელმწიფოს მოქალაქის მოკვლის გამო პროტესტი იშვიათი მოვლენაა.

ამიტომაცაა, რომ მატეოტის მოკვლასთან დაკავშირებით შეირყა მუსოლინის მდგომარეობა, არა მარტო მუსოლინის—თვით იტალიის საერთაშორისო მდგომარეობაც შერყეულია.

შიგნით იტალიაშიც ფაშიზმი მორალურად მიწასთან გასწორებულია. მას ვერ უშველა ყველა მინისტრების გადაყენებამ და მუსოლინის დიქტატორად გამოცხადებამ.

ფაშიზმის წამქეზებლად ძალადობის ჩასადენად და სკანდალების მოსახდენად მუდამ გამოდიოდენ ბურჟუები, ისინი ფაშისტებს ფინანსიურ დახმარებასაც აძლევდნენ, მაგრამ მატეოტის მოკვლის შემდეგ ისეთი პირობები შეიქნა, ისე გატიტვლდა ფაშიზმი, რომ ეს ბურჟუები დახმარებას კი არა წყევლა—კრულვას უგზავნიან ფაშისტებს და ძალადობის რეჟიმის წინააღმდეგ გამოდიან.

მატეოტის მოკვლამ ფარდა ახადა ყველა შავ საქმეებს ამ შავი ორგანიზაციისა და ყველა გონს მოვიდა.

ქვეყანა აღელვებულია. ის შეურაცყოფილია და მოითხოვს ფაშიზმის ლიკვიდაციას, მუსოლინის და მისი კაბინეტის გადადგომას.

აი როგორი კრიტიკული მომენტი აქვს დამდგარი იტალიის ფაშიზმს.

რომ ფაშიზმის კრიზისი ძლიერია, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მუსოლინმა ვერ გაბედა იტალიის დატოვება და ლონდონის კონფერენციაზე გაემგზავრება.

აი ასეთ პირობებში ხელფეხი ეხსნება ოპოზიციას და მას შეუძლია განავითაროს თავისი მოქმედება.

იტალიაში გარდა შიგნით ფაშიზმის ოპოზიციისა არსებობს სოციალისტების და კომუნისტების ოპოზიცია. იბადება კითხვა: როგორი ტაქტიკა უნდა აწარმოვონ კომუნისტებმა?

აშკარაა, რომ სოციალისტების ოპოზიცია არის გაუბედავი, მერყევი. ის ვერ დაამხობს ფაშისტურ რეჟიმს.

მის დასამხობად საჭიროა პროლეტარიატის ფართო მასის ამოძრავება.

ეს კი კომპარტიამ უნდა იკისროს. შექმნილი პოლიტიკური პირობები იტალიის კომპარტიას მეტად სერიოზულ და რთულ ამოცანებს უყენებს წინ. მან უნდა დარაზმოს პროლეტარიატი და სასტიკი და დაუნდობელი შეტევა უნდა აწარმოვოს ფაშისტური მთავრობის წინააღმდეგ.

გონს მოსული და გამოღვიძებული პროლეტარიატის საშუალებით კომპარტია ამ ამოცანას უსათუოდ შეასრულებს.

ჩვენ ველით ფაშისტური რეჟიმის დამსხვრევას და ვფიქრობთ ეს დრო შორს არ არის.

**გ. ვარდოიანი.**

## აჰა, მოდიან ღია მკერდებით...

დაჰკრეს დუდუკი—ეს სიგნალია;
სტოვებენ ქარხნებს, გრდემლს და ჩაქუჩებს,
ყველას ვალია
დღეს მოეფინოს მოედნებს, ქუჩებს.
აჰა, მიდიან ღია მკერდებით,
მაგარ მკლავებით.
და იმღერიან: „ჩვენ შევერთდებით
„და დავეცემით მტერს აზლვავებით.
„დღეს ჩვენი ძალა ერთი ასდება,
„ვინც შეგვაწუხებს
„კარგად იცოდეს, ის ვერ ასცდება
„ჩვენი ხელების რკინის მარწუხებს.

**გაროლდი.**

## კ. ჩხეიძე სამღვდელოების ვექილის როლში.

მკითხველს ალბათ ემახსოვრება, რომ ჯერ კიდევ შარშან, მენშევიკურ პარტიის ყრილობამ მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება აკ. ჩხენკელის გამოსვლას ევროპაში, სადაც ის თავგამოდებით იცავდა ქართველ სამღვდელოებას. მას შემდეგ ამავე „დარგში“ თავი ისახელა ქართულ მენშევიზმის მეორე ცნობილმა მოღვაწემ კირილე ნინიძემ. მიუხედავათ იმისა, რომ მუშათა მასის მთელი სიმპატია ამბროსის და კომპანიის გასამართლების დროს მთლიანად საბჭოთა ხელისუფლებისაკენ იყო, კირილე ნინიძემ ყური არ ათხოვა ხალხის ხმას და უიხტიბროდ გვერდში ამოუდგა სულიერ მამათა დამცველ ქართველ ბურჟუაზიულ ვექილებს.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. სამღვდელოების დაცვა თავის ხელობად გაიხადა დღეს ქართველ სოციალ დემოკრატიამ არა მხოლოდ აქ, ჩვენი ქვეყნის ფარგლებში, არამედ ის მის წარმომადგენლობას უსირცხვილოდ კისრულობს საერთაშორისო ასპარეზზეც. ამის მეორე საბუთი, აკ. ჩხენკელის გამოსვლის შემდეგ, არის მენშევიზმის ცნობილ მაგიკანის, კარლო ჩხეიძის სიტყვა, რომელიც მან წარმოსთქვა ჟენევის უნივერსიტეტის მიერ გამართულ კრებაზე.

მთელი მისი სიტყვა ასჯერ გადაღეჭილი, გაცვეთილი მენშევიკური მოთქმა-გოდებაა— „კომუნისტურ ტირანიის“, „ბოლშევიკების ბარბაროსობის“ შესახებ. თავის ჩივილის დასადასტურებლათ თვალცრემლიანი ჩხეიძე შემდეგნაირად აწერს საქართველოს დღევანდელ ვითარებას:

> „ვნახოთ რა სანახაობა მისცა ბოლშევიკებმა ქვეყნიერებას საქართველოს სახით პირველ ყოვლისა ესაა თვით რუსეთის ნამდვილი ასლი. წამების გაუმჯობესებული იარაღები, გაუსამართლებელი ხვრეტა, ჩუმი შურისძიება იუსტიციის მფარველობის ქვეშ. მძევლებით სავსე ჩეკის სარდაფები, **დევნილი სამღვდელოებ**, **შელახძლული ეკლესიები**, და-

რბეული სოფლები, მშიერი, ჩამოფლეთილი მცხოვრებლები,—ერთი სიტყვით ყველგან ძარცვა, „ექსპროპრიაცია, ბოროტმოქმედება“.

როგორი მოსაწონია, მკითხველო, კარლო ჩხეიძის პირში ასეთი საზიზღარი პროვოკაცია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ? როგორ ახასიათებს მას აშკარა სინამდვილის ასე უტიფრად დამახინჯება? სად, ვისზე იძია შური საბჭოთა ძალა-უფლებამ საქართველოში. თუ რევოლიუციის დაუნდობელ და გაუსწორებელ მტერთ, ის ტყვიის ცეცხლით მიერეკებოდა—ეს გამოწვეული იყო მშრომელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებით. შური პროლეტარიატისათვის უცხო გრძნობაა, ასეთი ცილისწამება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც არ იცნობს სამრეწველო პროლეტარიატის კლასიურ ბუნებას და მისგან შორსა სდგას.

რაც შეეხება კომპარტიის კონტრ-რევოლიუციასთან ბრძოლის სისასტიკეს, აქ მენშევიკურ პარტიას ყველაზე ნაკლები ეთქმის. ჩეკის რკინის ცოცხს თუ ვინმე აღუგვია დედამიწის ზურგიდან, ამათ რიგში სამართლიანად უნდა მოჰყოლოდა ფალავა-ხომერიკები და ძმანი მათნი, მაგრამ ეს ვაჟბატონები დღესაც ხელუხლებელი სხედან.

სად, რომელი სოფელი ნახეთ საქართველოში დარბეულ-აწიოკებული მუშათა მთავრობის მიერ. ქურდს ყველა ქურდი ჰგონია. ოსეთის ავანტიურის, აჭარის და სამეგრელოს დუშეთის გლეხობის ამწიოკებელ ხალხს შესწევს გამბედაობა ვისმეს კიდევ სოფლის დარბევაზე უსაყვედუროს?

იქნებ ზემოავჭალის ელექტრონის სადგური, ან სენაკის მაზრის წყალვარდნილზე წარმოებული მუშაობა, ან ოზურგეთ ნატანების რკინის გზა და სხვა ამისდაგვარი უნდა ჩავთვალოთ ბოლშევიკურ აწიოკებათ!

მაგრამ ყველაზე უფრო დამაფიქრებელი და მენშევიკური ზნედაცემულობის დამახასიათებელია ჩხეიძის მიერ სამღვდელოების გამოსარჩლება და „შელანძღულ“ ეკლესიებზე ურვა-ჩივილი. ტყუილა არ ამბობდა 25 აგვისტოს ყრილობაზე ამხ. კ. შენგელია: „მღვდელი შემხვდა, შემეკითხა: როგორ არის ჩვენი საქმეო“.

ეხლა დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენებურ სამღვდელოებას ბედმა იშვიათი დამცველი არგუნა. სხვას რომ თავი დავანებოთ, კარლო ჩხეიძე სახელმწიფო სათათბიროს წევრი იყო, ის ერთ დროს ლენინგრადის საბჭოს თავმჯდომარეობდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის ასეთი სახელოვან ვექილის ყოლა. ევროპის ბირჟაზე ამ იარლიკს, რაც უნდა იყოს, დღესაც გასავალი აქვს.

**სიმონ ჟინკალი.**

---

# წარსულიდან

## რვა მუშის ისტორიისათვის

(გაგრძელება)

„რვა მუშის“ კონფერენციის მიერ არჩეული საორგანიზაციო კომისია შეუდგა თავის მუშაობას. კონფერენციის დადგენილება უნდა წარგვედგინა ოკასთვის თანახმად მე-6 მუხლის პირველი § შენიშვნისა; კონფერენციის რეზოლიუციების წარდგენა დაეკისრა ამხ. პეტრე ავლოხაშვილს და ერთ სხვა ამხანაგს, მათ გადასცეს ოკას, მაგრამ უარი მივიღეთ. ოკა მოსმენაც არა სურდა ჩვენი ამხანაგებისა.

მახსოვს, როდესაც ამხ. პეტრე ავლოხაშვილი მობრუნდა უარით, გვიამბო, რომ რეზოლიუციის გადაცემის დროს სილიბისტრო ჯიბლაძემ როგორღაც თავი ვერ შეიკავა და ცრემლიც შევამჩნიეთო, მას უმთავრესად საკვირველად მიაჩნდა ის, თუ მუშები, სოც.-დემოკრატი რევოლიუციონური მუშები, როგორ ბედავდნენ ასეთ უჯერო მოთხოვნილებების წაყენებას.

ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩა, დავიწყეთ მზადება საკუთარი ორგანოს გამოსაცემად, მაგრამ რით? რომელი თანხით? აი დილემა, რომლის წინაშეც შევფიქრიანდით, მაგრამ ისევ ენერგია, ისევ ძველი მედგარი სიკაჟე და ამ მართლაც მძიმე საქმეს, რომელიც მოითხოვდა თანხას, ლიტერატურულ ძალებს, ორგანიზაციას, ტაქტს და სხვა მრავალ წვრილმან პირობებს მედგრად შევებრძოლეთ და ბოლოს მაინც ჩვენი გავიტანეთ. იმ პირობებისათვის დაუძლეველი საქმე დავძლიეთ და მართალია გვიან, მაგრამ ჩვენი „კვერი მაინც გამოცხვა,“

პირველ რიგში დავაყენეთ თანხის შოვნა. ამ კითხვას ვაგვარებდით ძველი ნაცადი ხერხით, ვაწარმოებდით შემოწირულებებს, ვმართავდით წარმოდგენებს და სხვა. ამ მხრივ ჭიათურაში დაგვეხმარნენ პ. კილასონია და ვერა ღულაძე, მათის მეცადინეობით ჭიათურის დრ. საზ. თეატრში იქნა გამართული წარმოდგენა „დამარცხებულნი“. უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა დაწესებულებებში იყვნენ ფეხის ხმის ამყოლი ხალხი, როჰელნიც უარყოფით ეპყრობოდნენ ჩვენს გადადგმულ ნაბი-

---

# გვინდა თუ არა ბურჟუაზიული ხელოვნება

(გაგრძელება)

თუ დღეს პროლეტარიატი ომს უცხადებს ბურჟუაზიულ ხელოვნებას, ეს იმიტომ კი არა, რომ მას არ სწამს ხელოვნება, როგორც ასეთი და არ ესმის მისი ორგანიზაციული ძალის მნიშვნელობა. ბურჟუაზიული ხელოვნება, როგორც კლასთა საზოგადოებაში გაზრდილი და განვითარებული ხელოვნება, მძლავრი იარაღი იყო ბურჟუაზიის ხელში პროლეტარიატის დასამონავებლად. რა თქმა უნდა, რომ ეს ხელოვნება არ გამოადგება გზად და ხიდად იმ კლასს, რომელიც შრომის განთავისუფლების და ადამიანის ჩაგვრისაგან დასახსნელადაა მოწოდებული.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ პროლეტარიატმა ზურგი უნდა შეაქციოს ბურჟუაზიულ ხელოვნებას და ხელი მიჰყოს ახალს, სრულიად თავისუფალ პროლეტარულ შემოქმედებას?

მწარმოებელ პროლეტარიატს, რომელმაც საქმით იცის, რომ არსებული კულტურული სიმდიდრე ერთი თუ ორი ეპოქის საქმე არაა, არამედ თაობიდან თაობამდე ვითარდებოდა, არ შეუძლია ასე მიეპყრას ძველ ხელოვნებას. ის ყოველთვის ისტორიული თვალთახედვის ისრით იხილავს; მისთვის ნათელი ხდება, რომ რაც დღეს მიუღებელი და ცხოველმყოფელობას მოკლებულია, თავის დროს ორგანიზაციის მძლავრ იარაღს წარმოადგენდა. ამიტომ მისთვის, როგორც ახალი ცხოვრების ორგანიზატორისათვის, დიდ საჭიროებას წარმოადგენს ყოველივე, რაც ამ მხრივ კი შეიძლება ამოღებულ იქნას ძველ ხელოვნებიდან, სრული უარყოფა ბურჟუაზიულ ხელოვნების, მისი ზედმეტ ბარგად გამოცხადება ბრმა ფანატიკოსობა და ანარქისტული ნაბიჯი იქნებოდა, რაც უცხოა ინდუსტრიალურ პროლეტარიატისათვის.

მიუხედავად ამისა ასეთი მიდრეკილებას მაინც აქვს პროლეტარიატის მცირედ ნაწილში ადგილი. რუსეთში, სადაც მუშათა კლასმა მოიპოვა ეკონომიური და პოლიტიკური გამარჯვება, იდეოლოგიურ ფრონტზე ბრძოლამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო. აქ პირველად შეიქმნა პროლეტარული კულტურის ორგანიზაცია „პროლეტ კულტის“ სახელწოდებით, რომელიც ხელს უწყობს და გარკვეულ მიმართულებას აძლევს პროლეტარიატის ახალ შემოქმედებას ისე, როგორც პარტია და პროფკავშირები ხელმძღვანელობს ამ კლასს ეკონომიურსა და პოლიტიკურ სფეროში. პროლეტკულტის კონფერენციაზე ერთი დელეგატი აცხადებს: „ჩვენ შევდივართ ახალ ცხოვრებაში პროლეტარულ შეგნებით დატვირთული; ამასთანვე კიდევ სურთ ჩვენი დამძიმება უზომო ტვირთით—ბურჟუაზიულ კულტურის მონაპოვრით. ამ შემთხვევაში ჩვენ დავემსგავსებით ზომაზე მეტად დატვირთულ აქლემს დ ვერ შევძლათ წინ ფეხის გადადგმას. მოვიცილოთ მთლიანად თავიდან ბრჟუაზიული კულტურა, როგორც ძველი ნაგავი. [1]) ყველაფერი უნდა გადაიყაროს სანაგვე ყუთში,— ამბობს რუსეთის პროფკავშირთა ყრილობაზე ყაზანელი დელეგატი,—საჭიროა ისე მოეწყოს საქმე, რომ უსმენდენ არა მხოლოდ შალიაპინს, არამედ რომ იქმნებოდეს საკუთარი შალიაპინები და გორკები“ [2]): პროლეტარიატი კიდევაც ჰქმნის მეცნიერულ ჭაშმარიტებას და კიდევაც სარგებლობს იმით,—აცხადებს ორენბურგის უწყებები,—უნდა გადაიყაროს ყოველივე ძველი და ბურჟუაზიული“ [3]). და იმას, რაც ყრილობაზე და პრესაში ითქვა ხმას აძლევს პეტროგრადელი პროლეტარი, მგოსანი **კრილოვი ხელოვნებაშიაც:**

Во имя нашего завтра—сожжем Рафаэля,
Разрушим музеи, растопчем искусства цветы...
Девушка в светлом царстве грядущего.
—Будут прекрасней Милосской Венеры“ [4]).

ამნაირად, მტრული დამოკიდებულება ბურჟუაზიულ კულტურის მიმართ, მისი სანაგვე ყუთში გადაყრა, პროლეტარულ წრეებში ჰპოებს რამდენიმედ ნიადაგს. მაგრამ ეს ხელაღებით უარყოფა ბურჟუაზიულ ხელოვნების

---

[1]) протокол I-ой всероссийской конференции „пролеткульта“ გვ. 30.

[2]) Журнал „пролетарская культура“ № 6, 1919 г. გვ. 30.

[3]) Ibid.

[4]) Журнал „Грядущее“ 1918 г. № 2.

ჯებს. ამ რიგად ბევრი დაბრკოლებანი დააყენეს წინ დრ. საზ. გამგეობის სახით ფედერალისტ სცენის მოყვარეებმა, ჭიათურის „დრამატურგ“ გოგიას მონაწილეობით. ჭიათურის ორგანიზაციამ ხომ თავი ისახელა ხელის შეშლაში. ჯერ ნ. სიხარულიძის ქალს, რომელიც დასთანხმდა მონაწილეობის მიღებას თამაშში, კაცი მიუგზავნეს გენერალურ რეპეტიციის დროს უარი ეთქვა მონაწილეობაზე, მაგრამ ნ. სიხარულიძის ქალმა გააწბილა და უარი არა სთქვა მიუხედავად მუქარისა, რომ პარტიის წევრობიდან გადააყენებდენ. ამ მხრივ რომ ვერაფერი გააწყვეს და წარმოდგენას ვერა შლიდნენ, მეორე ხერხს მიმართეს. წარმოდგენის საღამოს რამოდენიმე კაცი დააყენეს თეატრის წინ მისასვლელ ადგილებში და მუშებს და საზოგადოებას უკან აბრუნებდენ, ზოგს ეუბნებოდნენ წარმოდგენა გადაიდვაო, ზოგს პარტიიდან გაგდებით ემუქრებოდნენ და სხვა. მე ამ დროს სცენაზე გამოსასვლელად ვემზადებოდი, გრიმს ვიკეთებდი, ამხანაგებმა მომიტანეს ამბავი, რომ ვიღაც პირები საზოგადოებას უკან ერეკებოდა. მივატოვე კულისები და კარში გამოვვარდი, ვიპოვნე რამოდენიმე ხელის შემშლელი. ბევრი მტკიცება დამჭირდა დამეჯერებინა ხელი აელოთ ულირს საქმეზედ და ბოლოს აღმითქვეს და თითონაც დაესწრნენ წარმოდგენას. როცა უკანვე დავბრუნდი და სარკეში ჩავიხედე, მაშინ მივხვდი თუ ჩემი მოკამათე ხელის შემშლელი მუშები და გარეშე საზოგადოება ზოგი გულიანად და ზოგიც ტუჩებზე ხელის მიფარებით თუ რატომ ფხუკუნებდნენ: სახის ცალი მხარე მოტიტვლებული მქონდა, მხოლოდ მეორე მხარეზე მუშის სქელი წვერ-ულვაშისთვის დაუმთავრებელი გრიმი მეყარა.

პირველი ნომერი გამოიცა 15 იანვარს 1917 წელს სათაურით „პირველი ნაბიჯი“. თუ როგორი თანაგრძნობით შეხვდა მუშების ფართო წრე სჩანს შემდეგიდან: ჯერ არ გამოსული ჟურნალის სასარგებლოდ შემოწირულება მოგროვილი და პირველსავე ნომერში აღნიშნული იყო 526 მან და 9 კაპ. მე-3 ნომერში —უკვე 953 მან. იყო. მე-7 ნომერში 1020 მან. მე 12 ნოპერში—1618 მან. მე-15 ნომერში—1888 მან. მე-20 ნომერში—2053 მან. მე 25 ნომ-ში—2226 მ. მე-34 ნომ-ში 3448 მ. მე-39 ნომ-ში—4384 მ.

შ. ჯაფარიძე.

(შემდეგი იქნება).

# ქიმიური ომი მომავალში

ომის საჭიროებისათვის გამოგონილია ქიმიური მრავალი ნივთიერება, რომელიც საიდუმლოებითაა მოცული. ომის შემდეგ ყველა პირველხარისხოვანი სახელმწიფო აწარმოებს ცდებს ქიმიურ ომის ახალ საშუალებების გამონახვაში. უეჭველია, მრავალი ახალი აირი იქნება გამოგონილი, მათი გაშვების ახალი მეთოდები და გამონახული იქნება მათი მოხმარების ახალი ილეთები.

ზოგიერთი შხამიანი აირი მცირეოდენი ნაწილით იმდენათ ძლიერია და ისე ნელა ორთქლდება, რომ საკმარისად არ სქელდება, ღრუბლად არ იქცევა და თვალისთვის უჩინარია. მეორე მხრივ სხვა ნივთიერებანი იძლევიან სქელ ღრუბლებს, რომელთაც შეუძლიათ დაჰფარონ შეტევა და მოწინააღმდეგეს დაუბნიოს გზა-კვალი.

მომავალში ძნელი წარმოსადგენია ისეთი მდგომარეობა, რომელშიაც აირები და კვამლები არ იქნება მოხმარებული, ქიმიურ მასალის განმანადგურებელი თვისებანი მათ მოთავსების შეძლებას იძლევიან სხვადასხვა საარტილერიო ყუმბარებში, გრანატებში, ან ბრძოლის ველზედ მოზიდულ სხვა რაიმე ჭურჭელ-სატევებში.

არსებობს ერთი პირობა, რომლითაც ქიმიური ომი მეტად მძლავრ საშუალებად იქნება მომავალ ომში.

აირები ისეთი იარაღია, რომლითაც მოქმედება შეიძლება როგორც დღით, ისე ღამით. ღამით, პირიქით, ნამდვილი საშუალებაა, რადგან ღამით ძილის დროს ვინც ვერ მოახერხა რაიმე მიზეზით პირბადის გაკეთება, ან დაჰკარგა, ან ძილმა დასძლია და ვერ ჩამოიცვა—იგი გახდება აირის მსხვერპლად.

წარსულმა ომის გამოცდილებამ დაგვანახვა, რომ უბედური შემთხვევა მრავლად ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ ჯარმა იცოდა სისწორით საიერო იერიშის დაწყების შესახებ. აირების საწინააღმდეგოთ ჩვენი წითელი ჯარი შეიარაღებულია აირის საწინააღმდეგო პირბადეებით, რომელიც საუკეთესო საშუალებათ ითვლება ქიმიური ომისათვის. წარმოვიდგინოთ, რომ ეს ნივთიერებანი მოქმედებენ სმენის ორგანოს არსების სითხეზედ. მთელი ჯარი თითქოს დაითვრა, ხალხი ბარბაცს იწყებს და წინ მოძრაობის უნარის მოკლებული ერთ ალაგასვა მიკრული“.

თვით მომავალ ომის ამოცანები იმდენად დიდია, რომ ოცნებათა და ფანტაზიათ არ ჩაითვლება ინგლისელ ერთი ოფიცერის მიერ წამოდგენილი სურათი მომავალი ომისა: „აირების ძებნის განვითარებაში,—ამბობს ინგლისელი ოფიცერი,—ადამიანის გონება მიისწრაფის გამონახოს ისეთი ნივთიერება, რომელიც დააზიანებს სხეულის წონასწორობის გამგე ორგანოს, რომელსაც ნახევრად რგვალი არხები ეწოდება და ყურთა სმენის ორგანოს შიგნით იმყოფება. წარმოვიდგინოთ ჩვენ, რომ მოწინააღმდეგის ჯარი მოხვდა ამგვარ ქიმიურ ნივთიერებით მოწამლულ აირში.

ცხადია ამისთანა ჯარი ბრძოლის უნარს მოკლებულია და მოწინააღმდეგეს ადვილად ჩაუვარდება ხელში.

ფრანგ პოლკოვნიკ ლოტს მომავალი ომი წარმოდგენილი აქვს როგორც ტეხნიკის უაღრესად განვითარებული მიღწევანი. ჯარის სარდლობა გენერალურ შტაბის ოფიცრებით იმყოფება ბიუროში. შტაბის ოფიცრები დგანან ბუმბერაზ, კლავიშებიან ხელსაწყოს წინაშე და ელექტრონის საშუალებით აგზავნიან წინ სიკვდილს და განადგურებას, ბუმბერაზი ზარბაზნების მოქმედებით ან ჰაეროპლანებით. მოწინააღმდეგის მსხვილ ცენტრებში გადასროლილ გრანატებით ან ყუმბარებით შხამიანი ნივთიერებანი მის ტერიტორიის დიდ სივრციდან ცხოვრების ყოველ-გვარ ნიშან-წყალს აღგვიან, იგინი დაადუნებენ ცხოვრებას ქვეყნის შიგნით, სამხედრო ქარხნებს შეუშლიან მუშაობას, დაარღვევენ ლაშქრისათვის სურსათ-სანოვაგის და ყუმბარების მიწოდებას და ამით უბრძოლველად, დეზორგანიზაციასა და

აიხსნება იმ გარემოებით, რომ ამ ხელოვნებაში ჩაქსოვილია ძველი საზოგადოების მთელი უკუღმართობა, ის პროლეტარიატს მხოლოდ განვლილ ტანჯვასა და ვაებას მოაგონებს. ამიტომ ეს უარყოფა წუთიერ გაანჩხლებით და გრძნობის ზეგავლენით უფროა გამოწვეული, ვიდრე საღი გრძნობით ნაკარნახევი. რა თქმა უნდა ასეთი სულისკვეთება მხოლოდ დროებითია და გარდამავალი.

დღევანდელი კულტურა განვითარებაა იმის, რაც ბურჟუაზიამ თავის დროზე მემკვიდრეობით მიიღო მის წინამორბედ გაბატონებულ კლასიდან. ამ კულტურაში თავმოყრილია კაცობრიობის მთელი გამოცდილების სიმდიდრე მეცნიერების და ხელოვნების სახით, ამიტომ თუ პროლეტარიატი ებრძვის კლასთა თანამშრომლობას კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ **ის უარყოფდეს თაობათა თანამშრომლობას**. ის, რასაც დღეს ბურჟუაზიული კულტურა ეწოდება, მარტო ბურჟუაზიის ამაგითა და გარჯით როდია შექმნილი. მას ანვითარებდა და ამუშავებდა კაცობრიობა კულტურულ ცხოვრების დასაბამიდანვე. პროლეტარიატი კანონიერი მემკვიდრეა ყოველივე ამ განძეულობის. დროთა ვითარება ისტორიის ჩარხს მისთვის ამზადებს და ის ვერ იტყვის უარს იმაზე, რასაც უანდერძებს მას იგივე ისტორიული განვითარება. წინააღმდეგ შემთხვევაში პროლეტარიატი დაჰკარგავს მოწინავე კლასის მდგომარეობას და ასცდება თავის დანიშნულების გზას.

ფეოდალურმა არისტოკრატიამ, რომლის წყობასაც ეწინააღმდეგებოდა ქრისტეს მოძღვრება თავის **მომხმარებელ** კომუნიზმის სახით, კი არ აიღო ხელი ამ მოძღვრებიდან, არამედ ამოიღო იქიდან ავტორიტარული სული და მორჩილების იდეა, მოაშორა კომუნიზმი და საფუძვლად დაუდვა თავის ეკონომიურს და პოლიტიკურ ბატონობას. როცა ისტორიის ასპარეზზე ბურჟუაზია გამოვიდა თავის ბაზრით და ყოვლის შემძლე ფულით, მან ქრისტიანობიდან ინდივიდუალიზმის იდეა გამოიტანა, მორჩილება ბატონობაზე აგებული ქვეყანა ავტორიტარიზმის ღვთაებრივობით მონათლა და ამნაირად სარწმუნოება თავის მსახურად გამოიყენა.

პროლეტარული შემოქმედება, თქმა არ უნდა, დამოუკიდებელი და ახალი შემოქმედება იქნება, მაგრამ ეს დამოუკიდებლობა არ უარყოფს ძველს, პირიქით ემყარება ყოველივე **საღზე**, რაც კი ძველ კულტურაში მოიპოვება როგორც არსებული იარაღები გამოუსადეგარია მთელი თავისი შემადგენლობით მომავალ საზოგადოებაში, როგორც ზედმეტია სოციალისტურ საზოგადოებაში თოფ-ზარბაზნები, ტანკები, ჯავშნოსნები და სხვა, რომელიც კაპიტალისტურმა წარმოებამ ორთქლმავლების და ტრაქტორების გვერდით შექმნა, ისე ზედმეტია ბურჟუაზიულ ხელოვნებაში ინდივიდუალიზმის, ფატალიზმის და ფეტიშიზმის კულტი, რომელიც უნდა ჩამოაცილოს მას პროლეტარულ კოლექტივიზმის დოსტაქრულ დანამ. ასე იქცევა პროლეტარიატი ეკონომიურ დარგში, ასევე უნდა მოიქცეს ის იდეოლოგიურ სფეროშიაც. ამას უკარნახებს მას პრაქტიკის და თეორიის მთლიანობის მეთოდი.

ა. ჰ.

(შემდეგი იქნება)

სულით დაცემას გამოიწვევს მოწინააღმდეგის ჯარში.

შხამიანი აირი თანამედროვე ომის ჩვეულებრივი იარაღი იქნება. ის სახელმწიფო, სადაც იქნება უაღრესად განვითარებული მშვიდობიან დროის ქიმიური მრეწველობა, უფრო მომზადებული იქნება მომავალ ომისათვის, მას ადვილად შეეძლება მშვიდობიან ქიმიურ მრეწველობიდან საომარზედ გადასვლა. საჭირო არ იქნება ქიმიურ საომარ ნივთიერებათა არსენალის ქონა; ქიმიკოსის სურვილისამებრ, ქიმიური საღებავი ქარხანა სამხედრო არსენალად შეიძლება გადაიქცეს. ასე იყო, მაგალითად, დაყენებული საქმე გერმანიაში წარსულში.

**ბარნაბიშვილი.**

# დაიჯერეთ „დაუჯერებელი"

რედაქციაში მოდიან მუშები და გვაძლევენ გაკვირვებითი შეკითხვებს: რამ მიიყვანა ნოე ჟორდანია იმ სისხლიან გზამდე, საითკენაც მიგვითითებს ის დღეს, რატომ დაკარგა მან კლასიური გზა! მართლა მოიწერა მან ეს უკანასკნელი წერილი, თუ ეს წერილი იყო შეთხზული ადგილობრივი ხელისუფლების მიერო.

დეე იცოდეს ყველამ, რომ ეს წერილი დაწერილია ნოეს მიერ. დაწერილია თეთრზე შავათ. ეს წერილი იყო ჩვენს რედაქციაში. ამ წერილით რაც უმთავრესი გვითხრა ნოემ ჩვენ უკვე მოვათავსეთ ჩვენს ჟურნალში. ამონაწერებიც კი მოვიყვანეთ.

ამხანაგებო! ნოე ჟორდანიას ეს უკანასკნელი წერილი არ გეგონოთ მისი მოუფიქრებელი მოქმედება. აქ ყოველი აზრი აწონილ-დაწონილია, აქ მოცემულია პოლიტიკური საქმიანობის მთელი გეგმა. სხვანაირად ნოეჟორდანიას არც კი შეეძლო ეთქვა. და აი რატომ.

ნოე აყენებს საქართველოს საკითხს საერთაშორისო პოლიტიკის მასშტაბით, ჩვენ ვაყენებთ საქართველოს საკითხს რუსეთის რევოლიუციის მასშტაბით. ნოე ჟორდანიასათვის პირველ რიგზე ნაციონალური საკითხი დგას, ჩვენთვის პირველ რიგზე სოციალ-ეკონომიური საკითხი. ნაციონალური საკითხის მოსაგვარებლად ნოე ჟორდანია კლასის პოზიციიდან გადადის ბურჟუაზიასთან კავშირზე, ჩვენ კი ვრჩებით კლასობრივ ნიადაგზე. ნოე ამ ხაზზე ლოღიკურია, აქ მას პოზიცია მაგარი აქვს. მაგრამ ჩვენ გვაშორებს ის, რაც მისს ლოღიკას ძირს უთხრის და რაც ჩვენი გამოსავალი წერტილია. და ეს საკითხი შემდეგია: ვინ არის რევოლიუციის მთავარი მამოძრავებელი ძალა—ბურჟუაზია თუ პროლეტარიატი? ნოე ამბობს, ბურჟუაზია არისო და ამიტომ, ცხადია, ამხანაგებო, რომ მან კავშირი უნდა შეკრას ამ კლასთან. ხოლო ბურჟუაზიასთან კავშირის შეკვრა ნიშნავს პროლეტარიატთან კავშირის გაწყვეტას. აი, ამან მიიყვანა ჩვენი ყოფილი პარტიის ბელადი იმ სისხლიან გზამდე. ეს კი გამოწვეულია იმით, რომ მენშევიზმმა დაკარგა კლასობრივი გზა საქართველოს საკითხში. სხვა რომ არა იყოს რა მარტო ბერ-მონაზონებთან კავშირი რათა ღირს! როდის იყო, რომ ჩვენ მონაზონებს ვეაშიკებოდით? მონაზონებთან აშიკობა ბერ-ეპისკოპოსების საქმეა და თუ ეს საქართველოს მენშევიკური პარტიის სპეციალობათ გადაიქცა, დამერწმუნეთ, ეს პარტია ისტორიის მიერ განწირულია. ეს არაჩვეულებრივი კავშირი მუშათა პარტიისა მუშათა კლასის მოსისხლე მტერ პარტიასთან და კლასთან რომ ფაქტია, ამას არც ნოე მალავს. ჩს ხომ პირდაპირ ამბობს: აჯანყდით და ევროპა მოგეშველებათო. ვისი ევროპა? ევროპა ხომ დღეს ბურჟუაზიულია. მეორე მხრივ, რუსეთის რევოლიუციის სათავეში მუშათა კლასი დგას და ბრძოლა ამ კლასთან არის ბრძოლა რევოლიუციის წინააღმდეგ? ეს ხომ მუშებისათვის ანაბანაა და ამას მტკიცება არ უნდა. მუშები ვერ გასცვლიან წითელ დროშას სამფეროვან დროშაში. მთავარი საკითხი აქაა. ეს კი ფერის გემოვნების საკითხი როდია, ეს სოციალური კატეგორიის საკითხია და **ჩვენ გადაჭრით ვამბობთ—უპირველეს ყოვლისა კლასი და შემდეგ კი ერი.** წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მარქსისტები არ ვიქნებოდით.

მაგრამ ჩვენ, ყოფილი მენშევიკები, არ ვამბობთ, რომ კლასს ერი უნდა ფიზიკურად ემსხვერპლოს. ჩვენ ვამბობთ: ნოეს გეგმა რომ განხორციელდეს, მაშინ საქართველოში არ დარჩება არც კლასი და არც ერი. სამოქალაქო ომი მოსპობდა საქართველოს. ვისაც ეს არ ესმის ის სულელია და პოლიტიკასთან ხელი არ უნდა ქონდეს. როგორ გგონიათ, ევროპის ბურჟუაზიის ჟანდარმებისა და კაპიტალის ბატონობა აღდგომას გაუთენებდა ჩვენს ერს?

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, ნოე ჟორდანიას წერილი ლოღიკური და მოფიქრებულია. ვინც „ანი" სთქვა, ის „ბანსაც" ამბობს. ეს დასკვნაა მთელი საზღვარ-გარეთელი ემიგრაციის უნიადაგო მოქმედებათა.

ასე გაიყარა ჩვენი გზები. მაგრამ კარგ მიცვალებულზე კაცი ცრემლებს მაინც დაღვრიდა. ჩვენ კი ამის საშუალებასაც გვართმევს არალეგალური ცეკა: მას საშინელი გახრწნილი ლეშის სუნი უდის და სატირლადაც ვერ მივალთ.

ასეთია პოლიტიკის ბანდიტიზმად გადაქცევის შედეგი.

**თანამშრომელი.**

# მუშათა წერილები

## ხორცის ბაზრის მოწესრიგებისათვის

ისეთ პირველ საჭიროების ბაზარი, როგორიც არის ხორცი, დღემდე სრულიად არ იყო მოწესრიგებული, მთლათ ეჭირა კერძო ყასაბ-სპეკულიანტებს ხელში და თავიანთ ნებაზე ასაღებდენ მომხმარებლებზე. მართალია არსებობდა, არსებობს დღესაც ნიხრი ხორცზე, მაგრამ ყასპები ნიხრით აძლევენ საჭმელად სრულებით უვარგის ჩლიქიან ხორცს, კარგს კი ყიდიან თავისუფალ ფასებში... ამ მხრივ ვერც მუქარამ, ვერც ჯარიმამ და ვერც დატუსაღებამ ვერაფერი გასჭრა, ვერც გასჭრის შემდეგშიაც, თუ მათ არ დაუპირდაპირეთ საკუთარი კოოპერატიული ხორცის დუქნები. მართლაც, რა მდგომარეობაში ვიქნებოდით, რომ არ ყოფილიყო ფართლის სინდიკატები, კოოპერატიული დუქნები და სხვა. აი სწორედ ასეთი მდგომარეობაში იყო ჩვენი ბაზარი ხორცის მხრივ დღემდის. დღეს კი ნაწილობრივ მაინც ივსება ეს დიდი დანაკლისი და ახლო მომავალში თანდათან დაიპყრობს ბაზარს. თბილისის „იარმუკაში", სადაც ჩამწკრივებულია ყასპების უთვალავი დუქნები და სადაც ხალხს ასე თავისუფლად სცარცვავდენ ყასპები, აი სწორედ ამ ცენტრში კოოპერატიული ვეებერთელა ხორცის დუქანია გახსნილი, რომელიც ჰყიდის ცხვრის ხორცს 30 კაპ. და ძროხისას კი 23-ათ. იარმუკის ყასპებისათვის ეს იყო მოულოდნელად მეხის დაცემა, რასაკვირველია, რაც გინდ დიდი და ფართე იყოს კოოპერატიული ეს ახალი დუქანი ყველას ვერ დააკმაყოფილებს, მაგრამ ჯერ ერთი დიდ გავლენას იქონიებს ბაზარზე, შეინახავს ფასების წონასწორობას და მეორეც თანდათანი გაფართოების გზით, ის მომავალში დაიპყრობს ხორცის ბაზარს. რომ ეს ასე იქნება, სჩანს თუ გინდ იქიდან, რომ იქავე ამ ახალ დუქნისავე პირდაპირ ჩამოერთვა კერძო ვაჭრებს სხვა დუქნებიც და არსდება მეორე ისეთივე კოოპერატიული დუქანი ხორცის და თევზეულობის სავაჭროთ. იქავე, იარმუკაში არსებობს „წითელ ქართლის" ხილეულობის და ბოსტნეულობის ფართო კოოპერატივი, რომელიც ხსნის თავის სასადილოსაც, სადაც შემდეგში გაყიდის ერბოყველს და სხვა სანოვაგესაც.

ცოტათ მოშორებით იხსნება მეორე კოოპერატიული დიდი საწყობი. ერთის სიტყვით განზრახულია მთელ იარმუკის კოოპერატიულ კუთხად გადაქცევა.

საჭიროა ასეთი საქმისათვის ხელის შეწყობა და კოოპერაციის ყოველ მხრივად გაძლიერება.

**ძველი მუშა.**

## საჭიროა ფეხსაცმელების სახელოსნოს გახსნა

კერძო ვაჭრებთან და ფეხსაცმელების მკერავებთან პირდაპირ შეუძლებელია დღეს ფეხსაცმელის შეძენა. ეს მუშა-მოსამსახურეთა ძალღონეს აღემატება.

სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობას შეუძენია საიდანღაც ფეხსაცმელები და ჰყიდის ბაზრის ფასებთან შედარებით იაფად, მაგრამ ძნელია შერჩევა საჭირო ნომრების და ხარისხის. სამაგიეროდ კერძო ვაჭრებს და ფეხსაცმელების სახელოსნოების პატრონებს რანაირი გნებავთ, რომ არ ჰქონდეთ.

ყველასთვის ცხადია, თუ რამდენად საჭირო საგანია ადამიანისათვის ფეხსაცმელი. ამიტომ საჭირო კი არის, რომ სახელმწიფო შინა ვაჭრობის კომისარიატი, ეკონომიურ მეურნეობის უმაღლესი საბჭო და ჩვენი კოოპერატიული ორგანიზაციები მოაწყობდენ ფეხსაცმელების სახელესნოებს და ხელსაყრელ ფასებში მიაწოდებდნენ მცხოვრებთ, განსაკუთრებით ხელმოკლე ხალხს.

მით უფრო საჭიროა ეს დღეს, რომ, რაც დღე გადის, ფეხსაცმელების ფასები მატულობს, სანამ ფულის რეფორმა მოხდებოდა შე-

ვროს ფეხსაცმელს ჰკერავდენ 25—30 მ. ფულის რეფორმის შემდეგ ფასებმა თითქმის ყველა საქონელზე დაიკლო, ხოლო ფეხსაცმელზე აიწია.

რაშია საქმე?

აშკარაა აქ საქმე გვაქვს სპეკულიაციასთან.

კერძო კაპიტალთან ბრძოლა ამ დარგშიაც უნდა სწარმოებდეს. ჩვენ მოველით სახელმწიფო და კოოპერატიულ სახელოსნოების და საფაჭროების გახსნას.

ისმინონ ეს იმათ, ვის ხელშიაც არის ჩვენი მეურნოების საქმის მოწესრიგება და კერძო ვაჭრობასთან ბრძოლა.

**მოსამსახურე.**

## მოგვეცით წყალი და სინათლე

**(ქ. ალმასკომის საყურადღებოდ.)**

ჩვენ ვამბობთ ქალაქის განაპირა ადგილების შესახებ.

ვერაზე არის მთელი რიგი ქუჩებისა, მაგ. გუნიბის, საუფლისწულო, პეტროვის, კიზლიარის, თერგის და სხვ., რომლებიც სრულიად არ ნათდება ღამ-ღამობით და ეს მაშინ, როცა ასე გავრცელებულია ქურდობა და სხვა ბოროტ-მოქმედება.

საჭიროა განაპირა ნაწილის ქუჩების განათებას მიექცეს სერიოზული ყურადღება.

გარდა ამისა. ჩამოთვლილ ქუჩებზე მცხოვრებნი (გუნიბის ქ. გამოკლებით) მეტად დიდ გაჭირვებაში და აუტანელ მდგომარეობაში ვიმყოფებით უწყლობის გამო.

წყალი აქ ხშირად მოდის ღამ ღამობით 12 საათიდან. სამსახურიდან და ფაბრიკა-ქარხნიდან დაბრუნებულ დაღლილ-დაქანცულ მუშა-მოსამსახურეთ უხდებათ ღამის 12 საათიდან რიგში დგომა და წყლის ლოდინი. ეს პირდაპირ ტანჯვაა და ამ ტანჯვას უსათუოდ უნდა მოეღოს ბოლო:

ამ მხრივ განსაკუთრებით დატანჯული ვართ ხევის ახლო-მახლო საუფლისწულო ქუჩის ზედა ნაწილში და კიზლიარ-თერგის და ლარსის ქუჩებზე მცხოვრებნი.

აქ ეზოში არსად არ არის წყალი, რადგანაც წყალსადენის მილი არაა გამოყვანილი, არის ერთი საერთო ონკანი, რომელიც ისე პატარაა, რომ დაუსრულებელი რიგია და მუშა-მოსამსახურეთ არა აქვს საშვალება ამ რიგში დგომისა და ხშირად ვერს ნახევარზე—ვაკეზე გვიხდება წყალზე წასვლა და იქიდან მოზიდვა.

დრო კი არის, რომ ამ ტანჯვას აგვაცილებდნენ, სულ რამოდენიმე საჟენზე რომ იქნას გაყვანილი წყალსადენის მთავარი მილი, შემდეგ ეზოში თვითონ სახლის პატრონები შეიყვანებენ წყალს და გვეშველება.

ალმასკომო, მოგვეცი წყალი და განათება ვერის ზედა ნაწილში მცხოვრებთ, გვაკმარე, რაც ვიტანჯეთ.

**მუშა ივანე.**

## დაობლებული ეკლესია.

კელაპტარი ჩამქრალა, ღია არის კარები,
სამრეკლოდან არ ისმის მოგუგუნე ზარები,
ღვთისმშობელს და გიორგის დაუხუჭავთ თვალები,
გაბრიელს და მიქაელს გასჩენიათ მჭვალები.

ღამე მგლები ზმუიან და ყვირიან ტურები,
აყრილ ჭერ-ქვეშ კიდია მძინარე ღამურები,
არ ჰრიალებს კანკელი, სდუმს თავდახრით სხმები,
თითქო შერცხვა რაც სოფელს მიაყენა წამება.

და იქ, სადაც ფოროხავდა ხალხი მონათ ქცეული,
ცრემლით ბანდა ხატებსა ცრემლათ გადაქცეული,
გუმბათისა მწვერვალზე ჯვარმა თავი დახარა
და ღმერთების სიკვდილი ტანჯულ სოფელს ახარა.

ყოველ შაბათ საღამოს ეკლესიის კარებში
შედის ძველი მოძღვარი იჭვის შიშით თვალებში,
ლიტანიობს, ლოცულობს, მაგრამ არვინ არ მოდის,—
ღამეც ჩქარა კვდება, დღის სინათლე ამოდის...

**ლიდიანი.**

## უნდა მოწესრიგდეს

ეს ერთი ხანია, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა კერძო ვაჭრობას და ცდილობს დაიპყროს ბაზარი. ეს ბრძოლა მიმდინარეობს მეტოქეობის გზით.

მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს ერთი გარემოება. კერძო ვაჭრები ამ მეტოქეობას თითქმის გულგრილად ხვდებიან. მათ საქონელზე დაწესებული აქვთ ძალიან მაღალი ფასები. მაგ. ის მიტკალი, რომელიც მეტრობით სინდიკატში იყიდება 60 კ.—70 კ., კერძო ვაჭრებთან არშინობით იყიდება 80—90 კ.

შალი, რომელიც სინდიკატში მეტრობით $5^1/_2$ მან. იყიდება, კერძო ვაჭრებთან არშინი ფასობს 9 მან.

და ასეა სხვა საქონლის ფასებიც. ზოგიერთი მუშა-მოსამსახურე სამწუხაროდ უვარდება კერძო ვაჭარს ხელში და ის ტყავს აძრობს მას. ამის მიზეზი ის არის, რომ სინდიკატში ისეთი დიდი რიგია შესავალ კარებთან და შემდეგ შიგნით, რომ პირდაპირ შეუძლებელია რამის ყიდვა. ასეთ ხმაურობაში და არევ დარევაში მუშა-მოსამსახურე, თუ გინდ სოფლიდან ჩამოსული გლეხი აბა როგორ შესძლებს ამოარჩიოს ის საქონელი, რომელიც მას სჭირდება.

ხელმოკლე კაცს სად აქვს იმდენი საშვალება, რომ დღეს ერთნაირი იყიდოს და ხვალ სხვანაირი. ვაი-ვაგლახით მომარაგებული კაპეიკები მან უსათუოდ მიზანშეწონილად და თავის გემოზე უნდა დახარჯოს.

ამის საშვალებას კი ღლევანდელი სინამდვილე არ იძლევა.

რა უჭირს, რომ სინდიკატმა თავისი განყოფილებები გახსნას ქალაქის სხვადასხვა ადგილას?—ან საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობა რატომ არ ზრუნავს იმაზე, რომ თავისი სავაჭროების ქსელით მოჰფინოს ქალაქი?

უსათუოდ საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს იმათგან, ვის ხელშიაც არის დღეს სახელმწიფო ვაჭრობის მოწესრიგების საქმე.

საკვირველია აგრეთვე ერთი გარემოება: ჩვენი მუშათა კოოპერატივები რათ არ გადადიან მეტრიულ სისტემაზე?—ისინი ხომ მეტრობით იძენენ საქონელს.

რა აბრკოლებს მათ, რომ მეტრობით გაჰყიდონ?—

ამ საკითხსაც მოგვარება უნდა.

იმავე დროს ჩვენი ტრესტები, სინდიკატები და კოოპერატივები უნდა ეცადონ იქონიონ ყველა ის საქონელი, რომელიც კერძო ბაზარზე მოიპოვება.

ყველა ამ საკითხებს უსათუოდ უნდა მიექცეს საჭირო ყურადღება და უნდა მოწესრიგდეს.

**ი. ტ—შვილი.**

## მიაქციეთ ყურადღება

ამ ჟამად უდიდესი ყურადღებით და ზრუნვით ეპყრობიან მუშათა კლასის გათვითცნობიერების და მასში ცოდნის შეტანის საქმეს.

ყოველ ფეხის გადადგმაზე არსდება წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, I და II-საფეხურის სკოლები, არსებობს მუშათა ფაკულტეტები და სხვ.

წარსულ სამოსწავლო წელში თფილისში არსებობდა 50-დე პირველ საფეხურის სკოლა, რომლებშიაც უმთავრესად სწავლობდენ ახალგაზდა კავშირის წევრი მუშები.

ამ სკოლებიდან 25 გადაცემული ქონდა პოლიტიკური განათლების მთავარ მმართველობას. დანარჩენი კი იყო პროფკავშირების უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

პოლიტ-განათლების მთავარ-მმართველობამ ეს 25 სკოლა გადასცა სახელმძღვანელოდ და მოსავლელად ტფილისის პოლიტ-განათლების განყოფილებას.

როგორც ვხედავთ, ამ სკოლებს ჰყავდა სამი პატრონი და ეს კიდევაც დააჩნდა მათ. სკო-

ლებს თავის დროზე არ ჰქონდა არც სასწავლო ნივთები და, რაც უმთავრესია, არ იყვნენ სკოლები უზრუნველყოფილი სინათლით. მეცადინობა კი სწარმოებდა ან ბნელაში, ან ლამპის სინათლეზე.

ეს გარემოება მეტად აფერხებდა მუშაობას და ბევრ მუშას ასეთ პირობებში სწავლაზე გული აუცრუვდა.

მეცადინეობა ამ სკოლებში ოქტომბრიდან დაიწყო, ხოლო დიდის ვაი-ვაგლახით სინათლე გაყვანილ იქნა იანვრის ბოლო რიცხვებში ტფილისის პოლიტ-განათლების მიერ, რომლის მოვალეობა უნდა ყოფილიყო მხოლოდ იდეური ხელმძღვანელობა. სკოლები სასწავლო ნივთებით უნდა მოემარაგებია თავიანთ კავშირებს, მაგრამ ეს შარშან ასე არ მოხდა და ჩვენ გვინდა აქედან მიუთითოთ, ვისაც ჯერ არს, რომ არ განმეორდეს შარშანდელი ისტორია.

საჭიროა: 1) გაიხსნას იმდენი სკოლა, რამდენის მოვლას შეძლებს ესა თუ ის ორგანიზაცია; 2) სკოლების მოვლა-პატრონობა მიენდოს მხოლოდ ერთ რომელიმე ორგანიზაციას და არ იყოს გადაცემა-გადმოცემა; 3) სკოლები უზრუნველ-ყოფილი უნდა იყოს, როგორც სასწავლო ნივთებით, ისე სხვა ხელშემწყობ პირობებით, როგორიცაა სინათლე და სხვ. 4) წარმოება-დაწესებულებებმა მოწაფე მუშებს უსათუოდ უნდა მისცენ საშუალება, რომ იმეცადინონ; 5) ყოველ მოწაფეს უნდა ჰქონდეს თითო სახელმძღვანელო, ვინაიდან მთავარია კითხვის შესწავლა და ამას ისინი ვერ შესძლებენ, თუ 3—4 კაცს ერთი სახელმძღვანელო ექნა.

ყველაფერ ამას ეხლავე უნდა ყურადღების მიქცევა და საჭირო ზომების მიღება.

**მუშა ხელოსანი.**

# მოწერილი ამბები

## გ ა რ ე-კ ა ხ ე თ ი

სოფ. პატარა ლილომ პირველად მოჰკიდა ხელი წყლის გამოყვანის საქმეს. წყალი მოჰყავთ სამი ვერსის მანძილიდან. დიდი ნაწილი მუშაობისა შესრულებულია. საჭიროა ქ. აღმასკომმა დახმარება გაუწიოს პატარა ლილოს.

სოფ. პატარა ლილო გაშენებულია ქუჩის ორივე პირზე, მხოლოდ, სამწუხაროდ, აქ მცენარეული ნაკლებად არის მოშენებული, ერთ ჩრდილსაც ვერ იპოვით ხეირიანს. გვალვის დროს ეს ძალიან საგრძნობი ხდება. აუცილებლად საჭიროა მოშნებული იქნას სხვადასხვა ხეები. ეს ჰაერისთვისაც კარგი იქნება და მცხოვრებლებსაც ასიამოვნებს.

სოფელი გვალვის მეოხებით დიდ გაჭირვებას განიცდის. მას ვალად აწერია სამეურნეო ბანკიდან 1100 მან. მცხოვრებნი დაიმედებულნი არიან, რომ თფილისის აღმასკომი დაეხმარება მათ ამ თანხის გადახდაში, ხოლო მომავალი მოსავლით აღმასკომს აუნაზღაურდება გაღებული თანხა. სოფ. ნორიოში ფოსტა მხოლოდ ორჯერ დადის და გაზეთებსაც დაგვიანებით იღებს გლეხობა. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს, ვისგანაც ჯერ არს.

აქ თეატრი არ არსებობს. საჭიროა ამაზედაც ზრუნვა.

მარტყოფში ხშირად იმართება ქეიფი. საჭიროა ბოლო მოეღოს ამ ძველ დამღუპველ ადათს. აქ საავათმყოფოს აშენება მალე დამთავრდება. საერთოდ მარტყოფში ბევრი რამ არის გაკეთებული, გასაკეთებელი კიდევ ბევრია, იმედია ახალი საბჭოს თავმჯდომარე გასდევს ძველის გზას და ენერგიულად შეუდგება აღმშენებლობით მუშაობას.

ახალი სოფლის გლეხკომი ცდილობს გლეხობას გაუწიოს კოოპერატივის სამსახურიც რადგანაც კოოპერატივი ამ სოფელში არაა. საჭირო კია აქ კოოპერატივის გახსნა.

ს. მუღანლოში, სადაც თათრები სცხოვრობენ, შენდება სასწავლებელი. მხოლოდ საჭიროა ტეხნიკის გამოგზავნა. ანთოკში ნინოწმინდაშიც საჭიროა ტეხნიკი. ეს მესამედ ვწერ ამის შესახებ, მაგრამ ტეხნიკს არ გვიგზავნის ქ. აღმასკომის საალმშენებლო განყოფილება. ამასობაში მასალა ფუჭდება, სწავლის დაწყების დროც ახლოვდება, ჩვენ კი სკოლები მზათ არ გვაქვს. საჭიროა ამას სერიოზული ყურადღება მიექცეს.

**ტურა.**

## ქ. ქ უ თ ა ი ს ი

მუშათა კლუბ—მე III ინტერნაციონალში, ახლად დაარსებულ დრამატიულმა წრემ მოაწყო სისტემატიური წარმოდგენების დადგმა. წრე შესდგება მუშა-მოსამსახურეებისაგან. იდგმება უმთავრესად რევოლიუციონური პიესები. რეჟისორათ მოწვეულია ახალგაზრდა მსახიობი შ. ბოჭორიშვილი, რომელიც დიდ ენერგიას იჩენს მუშაობაში. შედარებით წასულ წლებთან დღევანდელი მუშაობა საგრძნობლად მაღლა დგას. ამავე კლუბში დაარსდა მომღერალთა გუნდი და სასულე ორკესტრიც მოეწყო. ამ რიგათ კულტურული მუშაობა გამოცოცხლდა. უსურვებთ მომავალში შეუჩერებლივ წინსვლას.

**ს. სულაბერიძე.**

## ა ბ ა შ ა

უწინ ჩვენში დუღდა პოლიტიკური ცხოვრება, ყველას აინტერესებდა არა მარტო ის, რაც ხდებოდა საქართველოში, არამედ ისიც, თუ რა ხდებოდა საქრთველოს გარეთაც. ჟორდანიას მთავრობის წასვლის შემდეგ ხომ დიდი და პატარა ყველა პოლიტიკას დაეწაფა. ახლა სოფელი გაჩუმებულია, გულ-ჩახვეული. მაგრამ ამ სიჩუმეში კი გრძნობ აზრის დიდ მუშაობას, თუ კარგათ არ გიცნობენ არაფერს გეტყვიან. აქ იციან, რომ ტფილისში არის ყოფილი მენშევიკები, რომ მათ ყავთ ხელმძღვანელები და აქვთ ჟურნალი „სიმართლის ხმა“, მაგრამ ჩვენამდე ჯერ ჟურნალს არ მოუღწევია. ძალიან გვაინტერესებს ვიცოდეთ რას სწერთ თქვენ იმ ჟურნალში, როგორი გზებისაკენ გვითითებთ. ხელ მოწერილი მენშევიკები ბევრია, ესე იგი ყოფილი მენშევიკები და ხალხს რა უნდა ვუთხრათ, როდესაც ჩვენი ჟურნალი არ მოგვდის. აქ იმდენათ ჩამორჩენილი არიან, რომ ვერ წარმოიდგენთ, ამიტომ გთხოვთ, ამხანაგებო, გამოგვიგზავნოთ მომზადებული ამხანაგი და აგვიხსნას ყველაფერი. ამასთანავე გთხოვთ თქვენი ჟურნალს „სიმართლის ხმა“ს. მოგვაწოდეთ ყველა გასული ნომრები და მომავალში კიდევ გვიგზავნეთ. თუ ასე არ ქენით, არ შეიძლება იმიტომ, რომ სოფელს უნდა უმთავრესათ ყურადღება, თორემ იქაური ამხანაგები ისედაც გაცნობილი არიან მდგომარეობას. მოიხედეთ ჩვენსკენაც და კვლავ ჩაგვაბით საერთო მუშაობაში. აქაურ მენშევიკებს კი მიუჩინეთ ხელმძღვანელი, რომელიც დაიკავებს თქვენთან უშუალოთ კავშირს.

**აქაური.**

## ს. მ უ ხ უ რ ა
### (შორაპნის მაზრა).

ჩვენი სოფელი მთის სოფელია. ის მოშორებულია რკინის გზას ტყიბულიდან 10 ვერსით და ზესტაფონიდან 30 ვერსით. მოსავალი, როგორც ზემო იმერეთის სხვა მთიან ადგილებში, ჩვენშიაც ნაკლები იცის. დიდი შრომა და ტანჯვა სჭირდება გლეხს, რომ თავის სარჩო მოიყვანოს. ისიც იმ შემთხვევაში, თუ მას მიწის რაოდენობა ხელს უწყობს.

მაგრამ ჩვენში ძალიან ცოტაა მიწით კმაყოფილი გლეხები. ამიტომ მუხურის გლეხობა ზამთრობით გადის ხოლმე ნაწილობრივ ქალაქებში სარჩო-საბადებლის მოსაპოებლად.

წელს მიწის სივიწროვეს და უვარგისობას თან დაერთო კიდევ გვალვა. მაგრამ ამ ბოლო ხანებში წვიმა განუწყვეტლივ მოდის. ამით მოსავლის პირი თანდათან უმჯობესდება, გამოცდილი გლეხების სიტყვით მოსავალი საშუალოზე მეტიც იქნება.

ამ ზაფხულზე გაჩნდა კიდევ საქონლის ჭირი, რომელმაც რამდენიმე სული მსხვილი საქონელი იმსხვერპლა. ჭირის გაჩენას აბრალებდენ უწყლობას, რაც გამოიწვია გვალვამ. საქმე იმაშია, რომ აქ ზაფხულობით საქონელს მთაზე მიერეკებიან, რომელიც სოფელს ზედვე აკრავს. აქ, ე. ი. მთაში, მოიპოება ტბა და პატარა წყაროები. გვალვაში ესენი ხშირად შრება, რაც უკარგავს საქონელს საშვალებას წყლით სარგებლობის.

საბედნიეროთ გლეხობა შეგნებით დაუხვდა ამ უბედურებას და ჭირი ჯერ-ჯერობით ისეთი საშინელებით აღარ მძვინვარებს.

სხვა სოფლები, ჩვენს მაზრაში, სიმინდის მოუსავლობას ღვინის კარგი მოსავლით აინაზღაურებენ. მუხურას მოუსავლობის წელში ეს სახსარი არა აქვს, რადგან აქაური ბუნება ხელს არ უწყობს მევენახეობას.

**თადეოზა გლეხი.**

## სტოკჰოლმის მენშევ. პარტიას

სოფ. ქვემო-ჭალა (გორის მაზრა *)

### საქორინთლო.

52. გახელაძე პავ. მიწის მუშა პარ. 1918 წ.
53. სვიმონოვი მიხა — — — 1918 —
64. ფსუტური შაქრო — — — 1819 —

№ 44—54 წერა არ იციან, მათ მაგერათ ხელს ვაწერ ილია ჩიბიუაშვილი.

55. ჩიბურაშ. ილია მიწის მუშა პარ. 1918 წ.
56. ოლაძე დიმიტრი — — — 1906 —
57. კუდუხაშვილი ნ. — — — 1918 —
58. კუდუხაშვილი ს. — — — 1905 —
59. ანანიაშვილი ვ. საქმის მწარ. პარ. 1919 —
60. ფანჯახაშვილი დ. მიწის მუშა — 1903 წ.

### ახალშენი.

61. სიდამონიძე გ. მიწის მუშა პარ. 1905 წ.
62. კონიაშვილი ილ. — — — 1918 —
63. ჯიქურაძე ილია — — — 1919 —
64. მეტრეველი სან. — — — 1919 —

№ 61—64-მდე წერა არ იციან. მათ მაიგვრათ ხელს ვაწერ დიმიტრი ოლაძე.

### კასპი

65 ნონიაშვილი იოს. დურგალი პარ. 1918 წ.

66. შალიკაშვილი გ. ლიანდ. მუშა პარ. 1903 წ.
67. გზირიშვილი სან. მიწ. მუშა პარ. 1918 წ
68. ლვინიაშვილი დავ. — — თანამ. 1917 წ.

### ქოდის წყარო

69. ოქროპირიძე შ. მიწის მუშა პარ. 1908 წ.
70. თვალიძე მიშა — — — 1918 —
71. ლვინიძე დიმიტ. — — — 1919 —
72. თვალიძე შაქრო — — — 1920 —
73. ლვინაძე გიორგი — — თანა. 1918 —
74. ოქროპირიძე კ. — — — 1918 —
75. ნადირაძე გიორ. — — პარ. 1918 —
76. ლვინაძე საშა — — — 1918 —
77. ლვინაძე თედო — — — 1919 —

№ 72—75-მდი წერა არ იციან, მათ მაგივრათ ხელს ვაწერ ლვინაძე გ.

### გორაკა

78. ხუბაშვილ ტ. მიწის მუშა პარ. 1918 წ.
79. ხუბაშვილი ნოე — — — 1918 —
80. ხუბაშვილი ივა. — — — 1918 —

№ 78—79 წერა არ იციან, მათ მაგივრათ ხელს ვაწერ ხუბაშვილი ტატე.

### ოკამი

81. ნონიაშვილი იაკ. კალატოზი პარ. 1903 წ.

(შემდეგი იქნება)

[1] ხ. „სიმართლის ხმა" № 35.

# პოლიტიკური მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე)

**მოკავშირეთა კონფერენცია-**

წარსულ კვირის განმავლობაში მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრი შეჩერებული იყო მოკავშირეთა კონფერენციაზე.

ამ კონფერენციაზე აშკარად დაისახა ორი ჯგუფი: საფრანგეთ-ბელგია ერთის მხრით და ინგლის-ამერიკა—მეორეს მხრით.

რაშია ამ ორ ჯგუფის თვალსაზრისში განსხვავება?

საფრანგეთი მოითხოვს, რომ გერმანიის მიერ თავის ვალდებულებათა დარღვევისათვის ძალდატანებითი, რეპრესიული ზომების მიღების საკითხს სწყვეტდეს სარეპარაციო კომისია, რომელშიაც მას უმრავლესობა უზრუნველყოფილი აქვს; ამით საფრანგეთი მიისწრაფვის იქითკენ, რომ მას ჰქონდეს უფლება საჭიროების დროს რეპარაციების ასაღებად მიმართოს ძალადობას. საფრანგეთი წინააღმდეგია რურის ევაკუაციის მანამ, სანამ ის არ აიღებს რეპარაციების დიდ ნაწილს.

ინგლისი კი მოითხოვს სანქციის უფლება მიენიჭოს რეპარაციების ამერიკელ კომისარს, რომელიც უკვე დანიშნა ამერიკამ. ის მოითხოვს აგრეთვე რურის დაცლას მანამ, სანამ გერმანიას სესხი მიეცემოდეს.

აი ამ კითხვებში იყო განსხვავება ამ ორ ჯგუფის შორის.

ექსპერტების მოხსენება გულისხმობს გერმანიისათვის საერთაშორისო სესხის მიცემას რომ მან აღადგინოს თავისი დანგრეული მეურნეობა და ფინანსები. ამ სესხის მიმცემი, არა ერიო და მაკდონალდი, არამედ ბანკირები.

ეს უკანასკნელნი მხოლოდ მაშინ გაიღებენ თანხას, როცა გერმანიის სუვერენობა დაცული იქნება და მას არ მოელის პოლიტიკური კრიზისი.

ინგლისის და ამერიკის ბანკირები უკვე ჩაერიენ აქტიურად კონფერენციის მუშაობაში და მათ განაცხადეს პროტესტი კომისიების მიერ მიღწეულ შეთანხმებების წინააღმდეგ ამ შეთანხმების ძალით კომისიას ევალება გერმანიის მიერ თავის ვალდებულებათა არ შესრულების ფაქტების დაწესება, ხოლო საფრანგეთს უფლება ენიჭება დამოუკიდებლათ იმოქმედოს გერმანიის მიმართ. ბანკირების პროტესტის გამო კონფერენციის პლენარული სხდომა გადაიდო.

ბანკირები მოითხოვენ, რომ მათ მისცენ წერილობითი გარანტია, რომ არც ერთი სახელმწიფო არ მიმართავს სეპარატიულ მოქმედებას გერმანიის წინააღმდეგ იმ შემთხვევაში, თუ ის არ შეასრულებს მის მიერ მიღებულ ვალდებულებებს. ამრიგად ბანკირები გამოდიან გერმანიის სუვერენობის „დამცველის" როლში

ცნობილი კაპიტალისტი-ბანკირი მორგანი ლონდონში მიეშურება გერმანიისათვის სესხის მიცემის საკითხის გამოსარკვევად და როგორც ნიუ-იორკის გაზეთები სწერენ, ის გამოიყენებს თავის ფინანსიურ ძლიერებას შეურიგებელ ფრანგებზე გავლენის მოსახდენად.

გერმანია კი ლონდონის კონფერენციაზე არ იღებს მონაწილეობას, მის ბედს მისი დაუკითხავად სწყვეტენ.

წინაღმდეგობები, როგორც მკითხველი დაინახავს, დიდია, მაგრამ მაკდონალდი და ერიო ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ როგორმე კომპრომისების საშუალებით შეთანხმებას მიაღწიონ.

ერიო უკვე გრძნობს თავის მთავრობის დამარცხებას პალატაში და ამბობს, რომ ჩემი მთავრობა ვერ გადურჩება პალატაში ატეხილ ალიაქოთსო.

რით გათავდება ლონდონის კონფერენცია? ამა თუ იმ გზით გერმანიის ტყავის გაძრობით.

**საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი.**

წარსულ კვირას ერიომ მიმართა ამხ. ჩიჩერინს შემდეგი დეპეშით;

„მთავრობის დეკლარაციაში მე განვაცხადე, რომ ჩემი განზრახვაა მოკლე დროში მოვამზადო ნიადაგი საფრანგეთსა და რუსეთს შორის ნორმალურ ურთიერთობის აღსადგენად. ამის გამო მე გავეცი განკარგულება, რაც შეიძლება დაუბრკოლებლად და ფართოდ მიეცესთ საჭირო ნებართვები რუსეთის იმ მოქალაქეებს, რომლებსაც სურთ საფრანგეთში ჩამოსვლა. ამავე დროს საბჭოთა ხელისუფლება საზღვარ-გარედ სისტემატიურად ეუბნება უარს საფრანგეთის მოქალაქეებს რუსეთში შესასვლელ ვიზების მიცემაზე. კერძოდ, თქვენმა წარმომადგენლობამ ლონდონში, თქვენი ინსტრუქციების თანახმად გააუქმა საფრანგეთის ნავთის კამპანიის წარმომადგენლებისათვის უკვე მიცემული ვიზები. ვისურვებდი, რათა თქვენის მხრივ ისეთივე ნაბიჯები იქნას გადადგმული, როგორც ჩემ მიერ; ეს გაადვილებდა იმ საკითხის გადაჭრას, რომელსაც მე შეუდგები ლონდონის კონფერენციის დასრულებისთანავე".

ამ დეპეშაზე ჩიჩერინმა უპასუხა, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობაც ისეთივე მეგობრულად მოეპყრობა საფრანგეთის მოქალაქეებს, როგორც საფრანგეთი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებს ეპყრობა.

დაგვიანება და დაბრკოლება ამგვარ საქმეებში, ამბობს ჩიჩერინი საფრანგეთის მიმართ არის აუცილებელი შედეგი იმისა, რომ ჩვენ მთავრობებს შორის ადგილი არ აქვს ნორმალურ ურთიერთობას, რისთვისაც საბჭოთა მთავრობა არავითარ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი".

აქედან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ერიო ლონდონის კონფერენციის დასრულების შემდეგ აპირობს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დაწყებას.

**ამერიკა და რუმინეთი.**

ნავთის საკითხის შესახებ მომხდარ უთანხმოების გამო, ამერიკის ელჩმა წინადადება მისცა რუმინეთის პრემიერს შეატყობინოს ამერიკის მთავრობას აპირობს თუ არა რუმინეთი ამ საკითხში თავის პოლიტიკის შეცვლას. პასუხი უარყოფითია. დამოკიდებულება რუმინეთ-ამერიკის შორის გამწვავდა. ამერიკის ელჩმა უკვე დასტოვა ბუქარესტი.

**იაპონია და ამერიკა.**

ერთხანს მეტად გამწვავებული იყო ამერიკის და იაპონიის ურთიერთობა. მიუხედავად საყოველთაო აღშფოთებისა, რომელიც გამოიწვია იაპონიაში ამერიკის კანონმა იმიგრაციის შესახებ, იაპონიის პრემიერი კატო მაინც სცდილობს მეგობრული ურთიერთობა იქონიოს ამერიკის კაპიტ ლთან.

# სხვა და სხვა ამბები

**ერიომ** აცნობა ამხ. ჩიჩერინს, რომ ლონდონის კონფერენციის დასრულების შემდეგ შეუდგები საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებასო

**ლონდონში** ჩავიდა შეერთებული შტატების გენერალური სეკრეტარი იუზი.

**იუზს** ლონდონში ხანგრძლივი თათბირი ჰქონდა მაკდონალდთან. სხვათა შორის მათ განიხილეს საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხი.

**საფრანგეთის** მემარჯვენე პრესა უსაყვედურებს ერიოს-საფრანგეთის პოზიცია მნიშვნელოვანად შესუსტდა საბჭოთა კავშირის მიმართთ

**ინგლის-საბჭოთა** კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება შემუშავებულია და იხილავენ ორივე ქვეყნის მთავრობები.

**მოლაპარაკება** საბჭოთა კავშირის და იაპონიას შორის დროებით შეწყვეტილია იაპონის წარმომადგენელების სახალინში გამგზავრების გამო.

**ინგლის-საბჭოთა** კავშირის მოლაპარაკება ნელი ტემპით მიმდინარეობს.

**ლონდონში** გრძელდება მოკავშირეთა კონფერენცია.

**მოკავშირეთა** კონფერენციაზე აშკარად დაისახა ორი მიმდინარეობა: ერთის მხრით არიან საფრანგეთ-ბელგია, მეორეს მხრით ინგლის-ამერიკა.

**ამერიკამ** გადასწყვიტა ჩაერიოს ევროპის საკითხების მოწესრიგების საქმეში.

**ამერიკის** გენერალურ კომისრად სარეპარაციო კომისიაში დაინიშნა იუნგი.

**ბრიტანეთის და ამერიკის** ბანკირებმა პროტესტი განაცხადეს კომისიების მიერ შემუშავებულ შეთანხმების წინააღმდეგ, ამიტომ კონფერენციის პლენარული სხდომა გადაიდო

**კონფერენციაზე** უთანხმოებას იწვევს გერმანიის მიწვევის საკითხი. ის ჯერაც არაა მიწვეული.

**ბანკირები** მოითხოვენ სესხის ვალდებულებათა უზრუნველყოფას: ისინი წინააღმდეგ არიან სეპარატიულგალაშქრების და არევ-დარევის

**გერმანიაში** დიდი უკმაყოფილებაა საფრანგეთის პოლიტიკის მიმართ.

**ცნობილი** ბანკირი მორგანი ნიუიორკიდან ლონდონში გაემგზავრა მოკავშირეთა კონფერენციაზე.

**გერმანიის** მემარჯვენე ჯგუფები წინააღმდეგნი არიან მოკავშირეთა კონფერენციაზე წარმომადგენლების გაგზავნის.

**ამერიკელებმა** სარეპარაციო საკითხის მოსაგვარებლად შეიმუშავეს ახალი გეგმა.

**ბრაზილიაში** დიდი აჯანყებაა. აჯანყებულების მდგომარეობა კრიტიკულია. მთავრობის ჯარები იმარჯვებენ.

**დაიხურა** პროფინტერნის საერთაშორისო კონგრესი.

**მოსკოვში** გაიხსნა მელითონეთა საერთაშორისო კონფერენცია.

**ამერიკა** და რუმინიას შორის დამოკიდებულება გართულდა. ამერიკის ელჩმა დასტოვა ბუქარესტი.

**მოსულის** საკითხი, რომლის გარშემო ინგლის-საფრანგეთი დავობენ, ერთა ლიგას გადაეცა.

**საბჭოთა** პავილიონი რიგის გამოფენაზე დიდ ინტერესს იწვევს.

**გერმანიის** მთავრობა იმუშავებს კანონპროექტს უცხოელებზე ახალი გადასახადის გაწერის შესახებ.

**მრავალი** სამრეწველოები და ფაბრიკა ქარხნების დახურვამ გერმანიის მუშების ეკონომიური მდგომარეობა გაართულა

**ესპანეთში** დააპატიმრეს კვირეული კომუნისტური ჟურნალის რედაქტორი და ორი თანამშრომელი.

**პროფინტერნის** საერთაშორისო კონგრესმა დაადგინა როგორმე მიაღწიოს მუშათა ერთიანი ფრონტის შექმნას და პროფინტერნაციონალების გაერთიანებას.

**ამერიკელმა** ინჟინერმა გამოიგონა ისეთი მანქანა, რომლის საშვალებით ყოველ დროს შეიძლება ამინდის შეცვლა, წვიმის მოყვანა.

**საბერძნეთის** მთავრობა გადადგა.

**ათი საათის** სამუშაოს დღის შემოღებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ზემო სილეზიაში.

**გერმანიის** რეიხსტაგმა უარყო კომუნისტების წინადადება ამნისტიის შესახებ.

**რურის** ევაკუაციის საკითხი გაირჩევა ახალ კონფერენციაზე.

**ამერიკის** კონსულის მოკვლის გამო სპარსეთში ამერიკის მთავრობამ საპროტესტო ნოტა გაუგზავნა სპარსეთის მთავრობას.

**ოსმალეთის** პრესა ენერგიულ კომპანიას აწარმოებს რუს თეთრ-გვარდიელების წინააღმდეგ.

**უკანასკნელ** ხანებში ინდოეთში კომუნისტური პროპაგანდისათვის პასუხისგებაში მისცეს 111 ინდუსი.

**უკრაინაში** დიდი ხანძარი გაჩნდა. მიზეზი არაა ჯერ გამორკვეული.

**მოსკოვში** ძზერჟინსკის თავმჯდომარეობით შესდგა სამრეწველო ორგანოების თათბირი.

**საბჭოთა** კავშირის შინა-ვაჭრობის კომისარმა ლეჟავამ განაცხადა, რომ შაქარი საკმაოდ გვაქვსო.

**საბჭოთა** კავშირის მთავრობის მიერ უკვე მიღებულია ზომები მოუსავლიან რაიონებში პურის გადაგზავნის შესახებ.

# ჩვენი თანამშრომლების და მკითხველების საყურადღებოთ

**25** აგვისტოსათვის განზრახულია ჩვენი ჟურნალის იუბილეო ნომრის გამოცემა. „სიმართლის ხმი“-ს რედაქცია სთხოვს ყველა თავის თანამშრომლებს და მკითხველებს დაამზადონ ამ ნომრისათვის მოგონებები, შთაბეჭდილებები, პრინციპიალური ხასიათის წერილები და სურათები.

**მასალების მიღების უკანასკნელ დღეთ დანიშნულია 15 აგვისტო 1924 წ.**

სარედაქციო კოლეგია

ცეკას პლენუმის თეზისების გამტარებელი კომისია წინადადებას აძლევს შემდეგ ამხანაგებს გამოცხადდენ ხუთშაბათს **31** ივლისს სრულ **4** საათზე კომისიის ბინაზე. (სასტუმრო „ნოე“, ოთ. **102**).

1. ჩლაიძე ნ. 2. სიხარულიძე ვ. 3. აფხაზავა ნ. 4. ქორიძე ნ. 5. ქორიძე ი. 6. ლუკაშევიჩი ა. 7. ხარაძე გ. 8. ნაცვლიშვილი ი. 9. ჰანტურია კ. 10. გვიმბრაძე ან. 11. ხორიაშვილი ან. 12. ანთიძე პლ. 13. ზაქარიაშვილი ი. 14. ახალბედაშვილი გ. 15. შუბაშვილი ი. 16. სუხიშვილი ვ. 17. ოგანეზოვი გრ. 18. ფარნიევი ს. 19. თოფაძე კ. 20. არეშიძე სიმონ, 21. მჭედლიშვილი ა. 22. ოგანოვი გ. 23. ცინცაძე მიშა. 24. არსენიშვილი გ. 25. მიკირტუმოვი ბაგ. 26. ტერელაძე მ. 27. ყანდარელი ს. 28. ჯაფარიძე შ. 29. ჯაფარიძე ვ. 30. კაიტაჯიანი სტ. 31. ალიხანოვი ვ. 32. დანდუროვი ვ. 33. გერსამია. 34. ტერელაძე. 35. ლაფაჩი. 36. პირველი. 37. პაატოვი. 38. აფხაზავა გ. 89. დოლიძე ბენიამინ. 40. ჩხაიძე ი. 41. იასამანოვ გიგო. 42. ბერძენიშვილი.

**კომისია.**

# ჩვენი ფოსტა

**სურამი** შ. სიხარულიძეს—თქვენი წერილი ვიწრო თეორიული ხასიათისაა, „სიმარ. ხმისთვის“ არ გამოდგა. ინახება რედაქციაში.

**კავთისხევის** სოფ. მენშევიკებს. თქვენი სია უადგილობის გამო ამ ნომერში ვერ მიდის. მოვათავსებთ უახლოეს კვირაში.

**რიონელს**—„ისპირი“ არ გამოგვადგა. წერა შეგიძლიათ. მოგვაწოდეთ წერილები შემდეგშიაც.

**სარედაქციო კოლეგია:**

ა. ფარნიევი.
ა. რუხაძე.
კ. თოფაძე.
ნ. ჩლაიძე
გ. ვარდიანი.
ა. ქყონია.

ს. ს. მ. უ. ს. პოლ. განყოფ. 1-ლი სტამბა შეკვ. № 3134. ნებადართულია ლიტ. გამ. და მართ. მიერმთავ. № 1150